წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. შაბათი, 16 იანვარი 1916 წ. № 11

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი ... პირველ გვერდზე პეტიტი ... უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## „საქართველო“

1916 წ. წელიწადი მეორე

**უპრემიოდ** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

**პრემიით** გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

წლის გაწოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.

პროვინციებში ხელისმომწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

პირველი წელი პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. სამტრედიაში—ვლ. ნაცვალაძესთან. ფოთში—ლუდმილა მეგრელიშვილთან. ბათომში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. ჭიათურაში—ივ. გოშელაურთან. ხონში—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

13 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის მხარეზე მდ. დვინის ორთავე ნაპირზე და თვით დვინსკზე გერმანელთა ჰაეროპლანებმა მოუხშირეს სტუმრობა. იაკობშტადტიდან რეჟიცაზე გადიფრინა ცეპელინმა, შემდეგ დვინსკით დაბრუნდა უკან. გალიციაში ზემო სტრიპის ფრონტზე რუსთა ბანაკის თავზე გამოფრინდა 4 ჰაეროსტატი რათა გაენათებინათ იქაურობა. ორი დაიწვა და ძირს ჩამოეშვა. თვითეული თვალის მკვეთელ სინათლით გიზგიზობდა. შუა სტრიპის ფრონტზე გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო სროლა ასტეხეს, თუმცა არავითარ შედეგისთვის არ მიუღწევიათ.

**კავკასიის ფრონტი.** რუსებმა ოსმალთ წაართვეს ფქვილების საწყობები, ხორცისა, პურისა თუ სხვა რამ სანოვაგის საწყობები, აგრეთვე წაართვეს საქონელი.

**პეტროგრადი.** 14 იანვარი. დასავლეთის ასპარეზი. რიგასა და დვინსკის რაიონებში გერმანელთა მფრინავნი განაგრძობენ თარეშს. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მოწინავე რაზმთა შეტაკება ხდება. რუსთა მზვერავებმა მოულოდნელი თავდასხმით გააქციეს გერმანელთა რაზმი და ტყვებიც წამოიყვანეს. კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსის ჯარისკაცები შეიჭრნენ მტრის სანგრებში და ყუმბარები დაუშინეს. გალიციაში, შუა სტრიპაზე, გერმანელები საარტილერიო ცეცხლს აძლიერებენ. დნესტრზე უსეჩკოს რაიონში მტრის სანგრებიდან ყუმბარებით ხდება სროლა. ბოიანის ჩრდილოეთით მტერმა რუსების თხრილების წინ სამი ნაღმი ააფეთქა, შემდეგ შეეცადა იერიშით შემოტევას, მაგრამ უკუგდებული იქმნა.

**კავკასიის ასპარეზი.** აზრუმის რაიონში რუსებმა შეაჩერეს ოსმალთა იერიში, ამასთანავე ტყვედ წამოიყვანეს ასკერები. მელიაზგერთის რაიონში ოსმალთა და რუსთა მოწინავე რაზმების შეტაკება ხდება.

---

**პარიზი,** 12 იანვარი. ტორბეში დილით თოფხანის სახელოსნოში აფეთქება მოხდა, დაიღუპა ხუთი, დაიჭრა 30 კაცი, აფეთქება შემთხვევითია.

**რომი,** 12 იანვარი. ლაგარინოს ველეში ღამით 11 იანვარს ჩვენ უკუვაგდეთ მტრის რიზმი, რომელიც სცდილობდა მოულოდნელად დაგვცემოდა. სუგანოს ველეში მტრის არტილერიამ რამდენიმე ყუმბარა ესროლა ბორგოს და რონსენოს. ამ უკანასკნელში გაჩნდა ცეცხლი, ჩვენმა არტილერიამ განაახლა ცეცხლი კალდონაცოს რკინის გზის სადგურზე. ტოლმანდის სექტორში მტერმა ბურუსით ისარგებლა და ორჯელ შეეცადა იერიშით წამოსულიყო, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნა. შუა იზონცოზე მტერი ძლიერი არტილერიიდან უშენს ჩვენს პოზიციებს, განსაკუთრებით ეს ითქმის გორიცაზე. დანარჩენს ფრონტზე მდგომარეობა უცვლელაა.

**პარიზი.** ბელგიაში, ბესინგის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა და ინგლისის არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მტრის სიმაგრეებს და სერიოზულად დააზიანა. გერმანიის ორმა ჰაეროპლანმა დიუნკერკირხენში 15 ყუმბარა ჩააგდო. მოკვდა ხუთი და დაიჭრა 15 კაცი. არტუაში, ვაიის რაიონში ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა მტრის ბატარეები. მდ. ენის ჩრდილოეთით. კრანის რაიონში გერმანელების სატრანსპორტო ურმებს ყუმბარები დავუშინეთ. მდ. მაასის მარცხნივ მდებარე პოზიციებს მტრის ჯარი მოუახლოვდა, მაგრამ უკუ ვაქციეთ. ვოგეზებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**ლონდონი.** 12 იანვარი, დასავლეთ ფრონტზე ოვილერასა და ლებრიდის რაიონში მტრის სამხედრო საწყობები ავაფეთქეთ. ლოოსსა და ტოოხეს მიდამოებში გერმანიის არტილერიამ აქტიური მოქმედება დაიწყო; ამ ბრძოლაში ორივე მხარის ჰაეროპლანებიც იღებდენ მონაწილეობას.

**ლონდონი.** 12 იანვარი. საადმირალო გამგეობა იტყობინება: ორმა გერმანელმა ავიატორმა დიუნკირხენში ყუმბარები ჩააგდო. ბრიტანიის მფრინავმა აიძულა გერმანელთა ჰიდროპლანი ზღვაში ჩაშვებულიყო. ნიუპორის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

**ლონდონი,** 12 იანვარი. ლორდთა პალატამ მიიღო საპარლამენტო ბილი და სავალდებულო სამხედრო სამსახურის ბილი.

— ინგლისის გემი „ნორსმენი“ ჩასძირეს.

**კოპენჰაგენი,** 12 იანვარი. ავსტრია-უნგრეთის მთავარი სადგომი იტყობინება, პოდგორიცას აღების დროს ალბანელთა და მთაშაველთა შორის მომხდარ ცხარე შეტაკების შესახებ. ამ ბრძოლის დროს მოკლეს ისა ბოლეტინაცი და მისი ვაჟი.

**პეკინი,** 13 იანვარი. მეამბოხეებმა ვინდუნსიანი დაიკავეს და დატუნფუსკენ გაემართენ. მთავრობა შველას ითხოვს.

**ტოკიო,** 13 იანვარი. ჩინეთს იაპონიამ მესამეჯერ ურჩია გადადოს სხვა დროისათვის მონარქიის აღდგენა.

**კოპენჰაგენი,** 12 იანვარი. ჰააგიდან დეპეშით იტყობინებიან: საზღვაო სამინისტრო იტყობინება, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავი „H. 16“. 6 იანვარს სხირმონიკოოგის და აბელოგის შუა, ჰოლანდიის ტერიტორიალ წყლებში, გაირიყა. ჰოლანდიის მთავრობამ ეკიპაჟი ხმელეთზე გადმოსხა და დაატყვევა.

**ტოკიო,** 11 იანვარი. მთავრობის და ზედა პალატის შეთანხმება საძნელოა. მოსალოდნელია საქმის სერიოზული გართულება.

**პარიზი,** 13 იანვარი. ბელგიაში ღამით სროლა ავუტეხეთ მტრის სანგრებს. არტუაში მთელი დღის განმავლობაში მტერი აფეთქებდა ლაფელის გზას, ნევილ-სენ-ვაასტის ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაიჭირა ამონათხარი ადგილი. ზოგიერთი უკან დავიბრუნეთ. მთელს სექტორზე მძაფრი საარტილერიო სროლაა. გუშინ ღამე „ცეპელინმა“ გამოიფრინა სოფლების თავზე, ენერკის რაიონში რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, რამაც მხოლოდ მცირე ზარალი მიაყენა მცხოვრებთ. მას სროლა აუტეხეთ, რის შემდეგაც მიეფარა თვალს.

**ლონდონი,** 13 იანვარი. ინგლისელთა გემი „ნორსმენი“ არ დაღუპულა, არამედ გაირიყაო.

**ლიონი,** 13 იანვარი. მთაშავეთის მეფემ მიიღო ფრანგთა ჟურნალისტები. ავადმყოფობა ნებას არ აძლევდა ხანგრძლივად ესაუბრნა მათთან. სამაგიეროდ გარეშე საქმეთა მინისტრმა მიუშკოვიჩმა ხანგრძლივად დაჰყო მათთან და განაცხადა, მხოლოდ მტრის ძლიერების წინაშე იძულებული ვიყავით ქედი მოგვეხარაო—შემდეგ ექვები გაუფანტა, ცილის წამების შესახებ. ჩვენ, მთაშაველებმა ყოველისფერი შევწირეთ ომს, რათა მოვალეობა შეგვესრულებინა მოკავშირეთა წინაშეო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბალკანეთი.**

**ალბანეთში.**

გაზეთების სიტყვით, სანამ იტალიელები ომში ჩაებმებოდნენ, ალბანეთში ავსტრიელებს დიდძალი იარაღი შეჰქონდათ თურმე. ალბანეთის ნავთსადგურებში მათ მიუტანიათ 30 ათასი თოფი და აუარებელი პატრონა. ეს იარაღი ავსტრიის კონსულებს დაუმალიათ სკუტარსა და დურაცოში. ესად-ფაშას, ავსტრიელ კონსულის დატუსაღების შემდეგ აღმოუჩენია 20 ათასი ალბანელი, შეუიარაღებია და მოკავშირეებისთვის მიუშველებია.

**მონასტირის მიტოვება.**

სალონიკიდან იტყობინებიან: გერმანელები მონასტირიდან მიდიან, თითქმის მთლად დასცალეს სერბეთის მაკედონია და ჩრდილოეთისაკენ გადავიდნენო.

**სპარსეთი.**

**ოსმალთა გაწვრთნილი ჯარი.**

თეირანიდან იტყობინებიან: ქამადან-ქერმანშაჰის მხარეს მოპირდაპირემ უკან დაიხია. აქ პირველად შეამჩნიეს ოსმალეთის გაწვრთნილი ჯარი. ამ ჯარს ჰსარდლობს პოლკოვნიკი მაჰმედ-ალი-ბეგი.

**მაკენზენი.**

პოლევოის სიტყვით, მაკენზენის ჯარი რუსეთის ასპარეზზეა გადმოყვანილი. ბალკანეთიდან წამოსვლამდე მაკენზენს ორშოვოში სამხედრო თათბირი მოუხდენია. მონაწილეობა მიუღიათ: გენერალ ფალკენჰეიმს, კონრად-ფონ-ჰეტცენდორფს, ენვერ-ფაშას, სანდერსს ჟუკოვს და ბოიაჯიევს. მაკენზენი ამ თათბირის შემდეგ ერთ ხანს ზუჩკაში ყოფილა, ჩერნოვიცის ჩრდილოეთით, შემდეგ მისულა კოლომიაში თუ სტანისლავოვში.

მაკენზენის ახალი ჯარი საუკეთესო ნაწილებისაგან არის შედგენილი. ეს ჯარი დასავლეთიდან არის წამოყვანილი, ნაწილი კი მთლად ახალი ხელუხლებელი ჯარია. ეს ჯარი საგანგებოდ მედგარი იერიშებისათვისა ჰყავთ გამზადებული. მათი ხელმძღვანელობა და აგრეთვე ლინცინგენის 5 არმიის ხელმძღვანელობაც მაკენზენსა აქვს მინდობილი. პრიპიატის მიდამოებში გერმანელებს 7 არმია ჰყავთ, თითოში 150—200 მეომარია. ასე რომ აქ $1—1^1/_2$ მილიონი მეომარი მაინც არის თავმოყრილი.

კარპატებში მოქმედების დაწყებისას, გერმანელებს ჰყავდათ მხოლოდ ექვსი არმია დუნაიციდან-ტუხოლკის ულელ-ტეხილამდე. ამათში ორი არმია იყო პირწმინდათ გერმანელებისგან შემდგარი. ეხლა კი სამხრეთის ასპარეზზე 7 არმია ჰყავთ, ამათში 3 გერმანელებისაგან შესდგება.

ცხადია, რომ მდ. სტრიპაზე გაჩაღებულ ახლანდელს ბრძოლას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც სტრატეგიული ისე პოლიტიკური. აქ გადასწყდება ამ მსოფლიო ომის ბედი.

(რ. ს.).

**ბალკანეთი.**

**მეფე ფერდინანდი.**

ბულგარეთის გენერლობამ მეფე ფერდინანდს მიუძღვნა ფელდმარშლის ხარისხი.

## უკანასკნელი ფოსტა

**ვილჰელმის მოწოდება.**

ვილჰელმს სერბიელთა მიმართ ასეთი მოწოდება გამოუცია: „ჩემო გმირო და კეთილშობილო, სერბეთის ერო უბედურმა შემთხვევამ წარმოშო ჩვენს ეროვნებათა შორის შუღლი. სამი წელიწადია იბრძვით და თქვენმა ვაჟკაცობამ დაამტკიცა რომ თავისუფლების ღირსნი ხართ. ჩვენ თქვენსკენ ვისწრაფვით სამტროდ კი არა, სამეგობროდ. ჩვენ გვინდა თქვენი ეროვნული ზნე-ჩვეულება გადავახალისოთ და თქვენი უფლებანი უზრუნველვყოთ. მაშ, დაუბრუნდით თქვენს კერას და დარწმუნდებით, რომ ჩვენი აღთქმა ლიტონი სიტყვა არ არის“.

**ჯარის დახედვა.**

„პატრი“ იტყობინება: ვილჰელმმა გევგელში მდგომ ჯარს დაჰხედაო.

**გემის დაღუპვა.**

ჰოლანდიის სანაპიროებთან დაიღუპა ინგლისელების წყალქვეშა ნავი. ნავის უფროსი და 11 მეზღვაური ჰოლანდიის მთავრობამ შეიფარა და იარაღი აჰყარა.

**სერბეთის ჯარები.**

კუნძულ კორფუზე გადმოიყვანეს 15 ათასი სერბიელი ჯარისკაცი, 2,500 აფიცერი, 200 ტყვიის მფრქვეველი და 80 ზარბაზანი.

**გერმანელები სერბეთში.**

გერმანელებმა სერბეთში გააუქმეს სათემო თვითმართველობანი და ყველა ქალაქს კონტრიბუცია გააწერეს.

**მთაშავეთის მეფე-დედოფალი.**

31 ქრისტეშ-თვეს მეფე-დედოფალმა დასტოვეს ცეტინიე. დედოფალი და მისი ასულნი ავტომობილით სკუტარის ტბამდე მივიდნენ, აქ ჩასხდნენ ხომალდში. ავსტრიელი მფრინავნი გამოეკიდნენ, მაგრამ ვერას გახდნენ.

**იტალეთის გარდაწყვეტილება.**

ავსტრია-გერმანელები ხმებს ავრცელებენ, იტალეთმა გარდასწყვიტა ალბანეთიდან ჯარები გაიყვანონ, რადგანაც აქ ცოტანი ვართო და სახიფათოა დარჩენაო.

**ჩარტორიისკის მიდამოებში**

ამ ბოლო დროს ისეთი საშინელი სროლა იყო ზარბაზნებისა ჩარტორიისკის მიდამოებში, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთი გეგონებოდათ. სროლის ატეხის შემდეგ ერთს საათში ამინდი შეიცვალა, დათბა და წამოვიდა თოვლჭყაპი. თოვლი მუქი ფერისა იყო.

### ვილჰელმის მატარებელი

გაზეთების სიტყვით სიჩურ-სვიატოპეტკას სადგურების შუა, სტამბოლ-ბერლინის რკინის გზაზე მოკავშირეებმა მატარებელს სროლა აუტეხეს. ამბობენ ამ მატარებლით ვილჰელმი მიემგზავრებოდაო.

## ბრძოლის ველზე

უკანასკნელი დღეების დეპეშები აღნიშვნენ რომ რიგა-დვინსკის რაიონებში და თვით რიგასა და დვინსკზე ჰაეროპლანები განუწყვეტლივ დაჰფრინავენ, ზვერავენ მოპირდაპირის ჯართა რაოდენობას, წყობას და ადგილ-დგომას. გერმანელების სამხედრო პრაქტიკიდან ვიცით, რომ ჰაეროპლანების ასეთი დაჟინებით ნავარდი განსაზღვრულ ადგილებში დიდი საერთო შემოტევის წინამორბედია. ამ აზრის სასარგებლოდ ღაღადებს ის ცნობებიც, რომ რიგა-დვინსკის რაიონში გერმანელები ჯარის თავმოყრას, განაწილებას და საომარ მასალის დაგროვებას ახდენენ. გალიციაში სტრიპას შუამდინარეობაში გერმანელები განაგრძობენ საარტილერიო ბრძოლას.

მდ. დნესტრზე უსეჩკოს რაიონში ბრძოლა სწარმოებს ხელით სასროლ ყუმბარებით.

ბოიანის ჩრდილოეთით გერმანელებმა სცადეს იერიშის მიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ.

კავკასიის ფრონტის შესახებ დეპეშაში ერთი საგულისხმიერო ამბავია აღნუსხული. აზრუმის რაიონში ოსმალებს შემოტევაზე გადასვლა დაუპირებიათ, მაგრამ რუსებს ეს შემოტევა შეუჩერებიათ.

მელიაზგერთის რაიონში რუსებსა და ქურთებს ურთიერთშორის შეტაკება მოსდით.

**მეგრი.**

### თბილისი, 16 იანვარი.

**ახალი ექსარხოსი და სიონი.**

მაჰმადის მეომარმა რჯულმა პირველივე მძაფრი იერიშები ივერიის ეკლესიას აძგერა და მას აქეთაც, მრავალი საუკუნის განმავლობაში, მისი შიშველი ხმალი რისხვას ამეხებდა ქრისტიან საქართველოს და ცეცხლითა და სიკვდილით მოსპობა-განადგურებას ემუქრებოდა. პატარა ერი, რომლის სიცოცხლის აზრად, ქრისტეს რჯული იყო გადაქცეული, მთელ თავის სასიცოცხლო ენერგიას ამ რჯულის დაცვას ანდომებდა. მძლავრი ისლამი, რომელმაც დიდი ერები დაამარცხა და ხელი დაადო რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის დიდ-ძალ მიწა-წყალს, ვერრას ჰხდებოდა პატარა ქართველი ერის შეუმუსვრელი სულიერი სიმტკიცის წინაშე. მრავალ თაობის სიცოცხლე დასწვა საქართველომ, ქრისტეს რჯულის სამსხვერპლოზე. ერთი იყო ბრძოლის ველზე დაღვრილი სისხლი და შეყრილი სიკვდილი, და მეორე—მოწამებრივი აღსასრული მრავლის უმრავლეს საქართველოს შვილისა. ქეთევანი, შუშანიკა, დიმიტრი თავდადებული, შალვა, ბიძინა და ელიზბარ ერისთავები, დავითი და კონსტანტინე, გარეჯის უდაბნოში ამოწყვეტილი ქრისტეს რჯულის მთელი რაზმი და ვინ ჩამოსთვლის კიდევ რამდენი ვინ, —ყველა ეს ქრისტეს რჯულის მსხვერპლია, რომელზედაც აგებულია ივერიის ეკლესიის სიმტკიცე.

გარდა თავის თავის დაცვისა საკუთარ ქვეყნის საზღვრებში, ივერიის ეკლესია საქრისტიანო მოღვაწეობას საქართველოს გარეშე ეწეოდა. იერუსალიმი, სინას მთა, ბალკანეთის ნახევარ კუნძული, რუსეთის სამხრეთი მხარე—აი ადგილები, სადაც გაისმოდა საქართველოს სახელით ქრისტეს დიდება და კეთდებოდა საქმე ღვთისა ქართველების სიტყვით და ხელით! წარსულ ჟამთა სიმკაცრეში ქართველობამ ქრისტეს ჯვარი დაიცვა და უვნებელი მოიტანა მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე, როდესაც იგი ერთმორწმუნე რუსეთის ქრისტეს ჯვარს გადააბარა.

რომ კავშირს ძლიერება შეემატა ივერიის ეკლესიისათვის და მას ზედა ქრისტეს ჯვრის ბრწყინვალება ჟამ მარად განმტკიცებულიყო. იშვიათი დამსახურება, რომელიც ივერიის ეკლესიას ქრისტიანიზმის წინაშე მიუძღოდა, ამგვარ იმედის უფლებას აძლევდა. მაგრამ რაც ვერ შესძლო მოპირდაპირე რჯულის მახვილმა, ის შეასრულა ერთმორწმუნე დის ჯვარმა. სარწმუნოებრივ ბრძოლის სიცხარეში ივერიის ეკლესია განუწყვეტელ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. ამის უქრობი და გარდუვალი ძეგლებით მოფენილია სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო. საეკლესიო ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, მუსიკა, გალობა, სასულიერო მწერლობა, სასულიერო სკოლები, იყალთოს აკადემია,—ყველაფერი ეს შენდებოდა და კეთდებოდა ქრისტეს სჯულის დაცვისათვის ატეხილ და დაუსრულებელ ბრძოლის წიაღში. ამას ასწრობდა, ამას ახერხებდა ივერიის ეკლესია ვიდრე იგი ავტოკეფალური და დამოუკიდებელი იყო. რაკი მოისპო დამოუკიდებლობა და ივერიის ეკლესია რუსის ეგზარხოსების ხელში გადავიდა, იგი დაადგა დაკნინების გზას. ეს ფაქტია. ქართული ძველი ტაძრები და ეკლესიები, მონასტრები გავერანდნენ. ჟამთა მეუფება მათ ანგრევს და ანადგურებს. არავითარი ზომა არ არის მიღებული მათ მოსავლელად. ნადირნი ბუდობენ და ღმუიან იქ, სადაც ქრისტეს დიდება და გალობა გაისმოდა. ზარები დადუმებულან იქ, სადაც მათი ხმა რელიგიურ აღმაფრენას და სისპეტაკეს განავრცელებდა მლოცველთა შორის. ყველაფერი ჩამოინგრა, გაოხრდა, ისპობა მთელი მხატვრობა, ტაძრის ქვები ირღვევა და მტვერდება. ქართული ეკლესიის წირვა გამოვიდა! დადუმდა ქართული ღვთის მეტყველება. ქართული სასულიერო სკოლები აღარ არსებობენ. ქართულ სასულიერო აკადემიაზედ ნურას ვიტყვით. აზროვნება დაიხშო. ივერიის ეკლესიას ჩამოერთვა ძვირფასი სამკაულები და უძრავი ქონება.

მოხდა სულიერი და ნივთიერი დაცემა ივერიის უხუცესი ეკლესიისა, რამაც ქართულ ეროვნებაში დიდი დასუსტება და მოშვება შეიტანა. ეკლესიას და ქრისტეს ჯვარს, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში, საქართველოს ეროვნების შექმნა-ჩამოყალიბებაში პირველი როლი უთამაშნია, ისე ვერ დაკნინდებოდა, რომ ამით თვით ერის სულიერ და ეროვნულ ცხოვრებაში განადგურება და გავერანება არ შეეტანა. ივერიის ეკლესიის საკითხი სწორედ ამისთვის მთელი საქართველოს ეროვნული საკითხია. ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში ქართველ ერს თავის ეკლესიის ბედი მეტის-მეტი სიმწვავით სწვავს. ეს კარგად უწყის ოფიციალმა სასულიერო თუ სამოქალაქო რუსეთმა. მის უდიდებულესობის მაღალი ყურადღებაც კი იყო ამაზე მიპყრობილი. თითქოს რაღაც კეთდებოდ კიდეც საქართველოს ყოფილმა ეგზარხოსმა პიტირიმმა, აწ პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტმა, ამგვარი ატმოსფერაც-კი შექმნა თავის გარშემო თბილისში და ამბობენ, ასეთივე ატმოსფერა თანაც წაიღოო.

უამისობა არც შეიძლება. თამაშობა როდი არის ის მწვავე ტკივილები, რომელსაც მთელი ერი განიცდის, როს შეჰყურებს მრავალ საუკუნოვან სულიერ-რელიგიურ განძის გაძარცვას. ახალი ეგზარხოსის დანიშვნა და მისი ჩამობრძანება, მისი სიტყვა, ქართველი საზოგადოებრიობისთვის არა-ჩვეულებრივი მოვლენაა და ქართველი საზოგადოება განსაკუთრებულ გულისყურს მიუძღვნის ყველა ამას. მოსალოდნელი იყო, რომ ივერიის ეკლესიის და ქართველი ერის აღნიშნულ სულიერ განწყობილებას **დღეს მაინც** ანგარიშს გაუწევდნენ და ვინც იქიდან მობრძანდებოდა უხუცესი ივერიის ეკლესიის ეგზარხოსობის დიდ თანამდებობის დასაჭერად სიტყვას რასმე ჩამოიტანდა, აღნიშნავდა პირველ შეხვედრის დაგვარად „საპროგრამო სიტყვაში" თავის პოლიტიკას. ამ მხრივ ყველანი გაფაციცებით ველოდით საქართველოს ეგზარხოსის სიტყვას.

და მოვისმინეთ იგიც. ყველაფერია იქ, ამ სიტყვაში: უკვდავი მორალი ქრისტეს მოძღვრებისა; ომის არაქრისტიანული ბუნება, ისიც რომ ომი გერმანეთმა გამოიწვია, რომ მრავალია ომის მსხვერპლი საქართველოში, რომ შველა უნდა ქვრივ-ობლებს, რომ ამისათვის იღწვიან დიდი მთავარი ანასტასია და მილიცა ნიკოლოზის ასულები.

სიონის ტაძარი, ძველი წამებული, ყურს უგდებდა სიტყვას, ყურს უგდებდა მაშინც, როდესაც ყოვლად სამღვდელომ იგი გაათავა. ელოდა უმცროსი დისაგან დაბარებულ სიტყვას.

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება.**

**წმინდა ნინოს სურათი, ნახატი ი. ნიკოლაძისა, ძველი ნახატი „წმინდა ნინო", გამოჩენილი ქართველი დედები, მეფე მირიანი, და სხვ.**

**ლექსები: კოტე მაყაშვილისა, კ. ერისთავისა, ს. შანშიაშვილისა, ბაბროვისა, ია ქართველიშვილისა და სხვათა. „ბალტასარის ნადიმი" დ. კასრაძისა, ესკიზი ინ-ბანისა და სხვათა, რამდენიმე კარიკატურა.**

ახალ ხელის მომწერთა საგულისხმოდ ვაცხადებთ, რომ „საქართველოს" საახალწლო ნომერი სრულებით აღარ გვეშოვება, რის გამოც ახალი ხელის მომწერლები ამ ნომერს ვერ მიიღებენ.

## ახალი ამბავი

† გრაფი ილარიონ ილარიონის ძე ვორონცოვ-დაშკოვი, კავკასიის მეფის ნაცვლად ნამყოფი, გარდაცვლილა.

◆ **პეტროგრადის მიტროპოლიტი პიტირიმი** მეფის ბანაკში გაემგზავრა. ამბობენ, წასვლის მიზეზი ის არის, რომ პიტირიმის საეკლესიო ძირითად რეფორმების გეგმას სინოდის ობერ-პროკურორი ვოლჟინი არ ეთანხმებაო.

◆ **რედაქციამ მიიღო** გორში, გენო დიდებულიძის ოჯახში სადილზე შეგროვილი მანათნახევარი მწერალთა აგარაკის ასაგებ ფონდისათვის.

◆ **თეთრ ბილეთიანების გაწვევა.** „ნოვოე ვრემიას" სიტყვით, თეთრბილეთიანებს უკანასკნელი ხუთი წლისას გაზაფხულის გასულს გაიწვევენ.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში.** დღეს, 16 იანვარს, საღამოს რვის ნახევარ საათზე, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის ბიბლიოთეკა) ქ. კ. მ. საზოგადოების საჯარო კრებაზე ბ-ნი **იპ. ვართაგავა** წაიკითხავს ვრცელს მოხსენებას: „**სოფელი და სოფლელები, სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში**". დასწრება ყველას შეუძლიან.

◆ კვირას, იანვრის 17-ს, დღის 12 საათზე, ახალ კლუბის სათეატრო დარბაზში, **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საჯარო სხდომაზე გ. ქუჩიშვილი** წაიკითხავს თავის ახალ პოემას: „**ნაადრევი ვარსკვლავი**". შემდეგ გაიმართება კამათი პოემის თაობაზე. შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება „საქართველოს", „თანამედროვე აზრის" რედაქციებში და ქ. კ. მ. საზოგადოების კანცელარიაში (Судебная, 26) ტელეფონი: 17—00. ბინა გ. თ. ყორღანიასი.

◆ **დახმარება სასწავლებლებს.** ქართულ საქველმ. საზოგადოებამ დაადგინა: მისცეს „განათლების" საზოგადოების ქალთა სასწავლებელს 330 მ., ქრა-კერვის სკოლას 672 მან. და მეორე საკომერციო სასწავლებელს 690 მ.

◆ **მეხილეთა საზოგადოებაში.** კავკასიის განყოფილების რუსეთის მეხილეთა საზოგადოების სხდომა 22 იანვარს მოხდება. კრებას მოხსენდება ბ. ბ. ბაგრამოვის მოხსენება, თვისი მოგზაურობის შესახებ კავკასიის ხილის რაიონებში.

◆ **პომოლოგიურ კომისიაში.** 21 იანვარს მიწად-მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის ბინაზე შესდგება პირველი სხდომა პომოლოგიურ კომისიისა, ხილეულობის ჯურების ასარჩევად სამრეწველოდ და მცხოვრებთა სარჩევად, ახალ ბაღების გაშენების დროს. კომისიაში მიწვეულნი არიან ცნობილი მეხილენი გორის მაზრისა ი. ი. ფურცელაძე, ნ. ზ. კეცხოველი და დ. ნ. დიასამიძე.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის** თავმჯდომარე ბ-ნი კორვინპაველოვსკი და მდივანი ვ. ი. რცხილაძე გუშინ კახეთს გაემგზავრენ იქაურ სანერგეების დასათვალიერებლად.

◆ **თანამდებობიდან გადადგომა.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ხაზინადარმა თავ. ლ. ნ. დიასამიძემ განუცხადა საზოგადოების საბჭოს, რომ თანამდებობას თავს ვანებებო.

◆ **ქალაქის კავშირმა** მეფის ნაცვლის კანცელარიიდან მიიღო 200 ათასი მანეთი სამკურნალო დაწესებულებათა შესანახად იანვრის განმავლობაში.

◆ **ამომრჩეველთა ახალი ჯგუფი.** ქალაქის ხმოსანთა ახალ შემადგენლობის ასარჩევად შესდგა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან ჟურნალისტა ა. ერზიკიანი, ექიმი დ. ყორდანია და ინჟინერი დავიდოვსკი.

◆ **რუსის მგოსანი კ. ბრიუსოვი** ერევანს გაემგზავრა.

◆ **დეპუტაცია.** საქართველოს ექსარხოსს პლატონს წარუდგა ებრაელთა დეპუტაცია და მიულოცა მშვიდობით მოსვლა საქართველოში.

◆ **სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს 14 იანვარს წარუდგა კორნეტი თ-დი ნაკაშიძე, რომელიც მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

◆ **მისაბაძი მაგალითი.** 14 იანვარს ნიკოლოზ მალაქიას ძე მირიანაშვილის ქორწილში, ბ. მ. მაისურაძის თაოსნობით, შეაგროვეს დაუძლურებულ მწერლების და არტისტებისათვის აგარაკის [illegible] 39 მანეთი, რაც გადაეცა [illegible]ულ საზოგადოებას; და ქართულ თეატრის აღსადგენად, ბაგრატ პავლეს ძე ქუთათელაძის და ალექსანდრე ესტ. სეფაშვილის თაოსნობით, 61 მან. და 20 კაპ., რომელიც გადაეცა თეატრის აღსადგენ კომიტეტს.

**ქუთაისი.**

ქალთა წრეს განუზრახავს 26 იანვარს დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ ქალაქის თეატრში გამართოს საღამო.

— ქუთაისში საშინელი ყინვები დაიჭირა.

— „სინათლის" საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ საღამოზე 6 იანვარს შემოსავალი 2700 მან. იყო.

— 13 იანვარს თბილისიდან ჩამოვიდა ინჟინერი სემიონოვსკი, რომელმაც ჩამოიტანა ტრამვაის გეგმა და ქალაქის ტეხნიკურ კომისიას გადასცა.

— იანვარს, ღამე ბოროტგამზრახველებს გელათის ქუჩაზე ყუმბარა უსროლიათ ებრაელ ვაჭარ ზენო ფიჩხაძისათვის. ფიჩხაძე უვნებლად გადარჩენილა.

**ქობულეთი.**

სახალხო სკოლების ინსპექტორი—პეტროვი, ქობულეთში ჩამოვიდა. გაჩხრიკა უფასო სამკითხველო და წაიღო გაზ. „საქართველო", „სახალხო ფურცელი" და „სამშობლოს" ნომრები.

## წმ. ნინობა

ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს ხსენების დღე წელს მეტის ზეიმით იქმნა გადახდილი.

წინა დღითვე აუარებელმა მლოცველმა იწყო დენა სიონის ტაძრისკენ წმ. ნინოს ჯვრის თაყვანის საცემლად. ქალაქის გამგეობამაც წელს პირველად მიაქცია ყურადღება სიონის კარ-მიდამოს, ელექტრონის სინათლით გაანათა სიონის შესავალი, სამრეკლო და ტაძრის გუმბათი.

13 იანვარს მლოცველი ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოსი პლატონი უმაღლეს სამღვდელოების თანამლოცველობით. ცისკარზე წმ. ნინოს ჯვარი გამოსვენებულ იქმნა შუა ტაძარში და მის წინაშე წმ. ნინოს დაუჯდომელი იქმნა გადახდილი. ამ დროს ტაძარში მობრძანდენ დიდი მთავრინა ანასტასია და მილიცა ნიკოლოზის ასულნი. ცისკარზე სიტყვა წარმოსთქვა ექსარხოსმა პლატონმა. ზეთის ცხება საღამოს $10^1/_2$ საათზე დამთავრდა. გალობდა ორი გუნდი, ექსარხოსისა და ფილარმონიულ საზოგადოებისა.

14 იანვარს თვით დღესასწაულის დღესაც დიდ-ძალმა ქართველობამ მოიყარა თავი. მთელი წირვა ქართულად იყო შესრულებული. მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ეგზარხოსი პლატონი ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. ჰგალობდა

## თბილისის არჩევნები*)

ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველობისთვის ყოვლად სავალდებულო იყო თბილისის არჩევნებში ეროვნული პრინციპი და ეროვნული დარაზმვა. მე წარმომიდგენია კიდეცა ქართველთა გაერთიანება ამ ეროვნულ შეგნების შეთვისებით. მაშინ დაიბადება საკითხი, თუ რა წესით უნდა იმოქმედოს შეერთებულმა ქართველობამ, თუ როგორ იბრძოლოს. თუ ეროვნული პრინციპი ყოვლის საზომად დავისახავს და მმართველ იდეად გამოვიცხადებია ჩვენს იდეურ და პრაქტიკულ ცხოვრებაში, არავითარი საბუთი არ გვექნება იგივე პრინციპი სხვა ერის ცხოვრებაშიც მზგავსივე უფლებით არ ავლჭურვოთ და არ ვიგულისხმოთ, რომ სხვებიც, ამ შემთხვევაში სომხები, ამავე პრინციპით არ იხელმძღვანელებენ. ეს თეორიული ვარაუდი დიდათ არც-კი არის საჭირო, რადგან აუარებელი ფაქტი მოწმობს, რომ სომხები საქართველოში და კერძოდ თბილისში სწორედ ამ ეროვნული პრინციპით ხელმძღვანელობენ. ამ გვარად ჩვენს მოსალოდნელ ეროვნულ დარაზმვას წინ დაუხვდება სომეხთა ეროვნული დარაზმვის შესრულებული ფაქტი. მთელი ქართველობისაგან საერთო ეროვნულ იდეის შესაძლო გაზიარებას უცდის და დარაჯობს უკვე საბრძოლველად გამზადებული სომხობის საერთო ეროვნული იდეა. სხვა და სხვა ეროვნულ იდეოლოგიის ბრძოლა, ასეთ პირობებში, ყოვლად აუცდენელია. ამ პერსპექტივის წინაშე უნდა შევსდგეთ და სერიოზულად გავითვალისწინოთ როგორც მოპირდაპირისა ისე ჩვენი საკუთარი ძალაც; გამარჯვების შანსები უნდა ვივარაუდოთ. როდესაც ამ უკანასკნელის თვალსაზრისით შევხედავთ საგანს, ცხადზედ უცხადესია ქართველობის დამარცხება. ცენზიანი სომხობა ცენზიან ქართველობაზე ბევრად მეტია. ასეთ სინამდვილის წინაშე იქნება ისა სჯობდეს რომ წმინდა **ტაქტიკური** მოსაზრებით, მაგრამ **ისევ-ისე ეროვნული ინტერესის ბრძანებით,** თავი გავანებოთ ამ ეროვნულ პრინციპს, თვალის ასახვევად წამოვაყენოთ ინტერნაციულ დემოკრატიის შეკავშირების ლოზუნგი, და საქმით-კი ჩვენი ეროვნული საქმე ვაკეთოთ, რაკი ერთხელ ქალაქის თვითმართველობაში ქართველთა საკმაო ძალა შევა. მაგრამ, აბა რა მებრძოლია, ბრძოლის ჩამოგდების ხიფათს ვინც იმით იადვილებს რომ მოპირდაპირეს ბაიყუშად დაისახავს და თავის თავს კიდევ ჭკვიანად! მებრძოლის ზნეობა სხვას მოითხოვს, სახელდობრ, მოწინააღმდეგე რომ შენ ტოლად მაინც მიიჩნიო და მას მიაწერო ხერხიანობისა და მიხვედრილობის ახალ-ახალი დაფარული ნიჭი. ამ მხრივ, ჩვენი მოპირდაპირის ეროვნული იდეოლოგია, ფრიად დახელოვნებულია და ჩვენზედ ბევრად გაწრთვნილი. გავიხსენოთ **ფაქტი,** თუ სომხობამ თავი როგორ დაიჭირა თბილისის გუბერნიიდან სახელ. სათათბიროს წევრის არჩევის დროს. სიმართლის თქმა თუ ნება დართულია, უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიულმა სომხობამ, რომელმაც ახდილი ეროვნული პრინციპით იხელმძღვანელა თავისიანთა შორის დეპუტატის არჩევის დროს, თბილისის გუბერნიაში თეთრი ბ-ნ კ. ჩხეიძეს მისცა, რომელიც, ჩვენდა სავალალოდ, საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის მექომაგე და დამცველი კი არ იყო, არამედ ნამდვილი დარწმუნებული მოწინააღმდეგე და გააშავა ის, ვინც საქართველოს ეროვნულ იდეოლოგიის დამცველთაგან კანდიდატად იყო წამოყენებული და ვისაც ეკისრებოდა საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური უფლების დაცვა როგორც თავის დროზე აღინიშნა, ეს ფაქტი სომხობის სალი ეროვნული პოლიტიკის ნაყოფი იყო.

ამგვარად, ეროვნული პრინციპის „განზე გადადება" და ტაქტიკური ნიღაბის აფარება პრაქტიკულ შედეგს ვერ მოიტანს, ხოლო იდეურად,—დიდ ზიანს მოგვაყენებს: ჩვენი მიზანი და ჩვენი მოქმედების raison d'êtrê, მიჩქმალული რჩება, გაუსაღებელ ტ კონტრაბანდის სახეს ღებულობს; იგი ფაქტიურად ვერ ითამაშებს დამრაზმელის, მომგვარებელის და ორგანიზაციის მომწყობის ცხოველმყოფელ როლს. და ვინაიდგან ტაქტიკური ნიღაბით გამოსულ ქართველობას სდარაჯობს „გაუცურვებული" ფხიზელი თვალი, რომელიც ყოველ მოვლენას თავის **ეროვნულის სარგებლობისა და პრინციპის მიხედვით ანგარიშობს,** ამისათვის ბრძოლის ეს მეთოდი უნდა უკუიგდოს; და ნათლად, გარკვევით, მთელი საქართველოს გასაგებად, წამოყენებული იქნას პრინციპიალადაც და „ტაქტიკურადაც" ეროვნული თვალსაზრისი. ამ შეხედულებას უნდა ფართე პროპაგანდა გავუწიოთ და განვამტკიცოთ ყოველგან; მის გარშემო უნდა შემოვიკრიფოთ მთელი ქართველობა. სჯობია აშკარა ბრძოლა დედაპრინციპის სახელით. ეროვნული დარაზმვა ქართველობას ასეთ უტყუარ სინამდვილის წინაშე აყენებს; რა სახიოაც არ უნდა გამოვიდეს იგი, სომხობა, რომელიც საქმეს ეროვნულის თვალსაზრისით ზოგავს, უტყუარ დამარცხებას მიაყენებს არჩევნებში. აქედან ჩვენი არჩევანი ცხადი უნდა იყოს: უთუოდ ეროვნული პრინციპი, უთუოდ ეროვნული დარაზმვა, უთუოდ ეროვნული ლოზუნგით გამოსვლა. პირველ ხანების დამარცხებას არ დავერიდოთ, ოღონდ იყოს და განვამტკიცოთ ეროვნული იდეის დამრაზმველი შემოქმედება. ეს იქნება უტყუარი საწინდარი მახლობელი გამარჯვებისა. განა განსაზღვრულ პირობებში საკუთარი სისუსტის ცოდნა საბუთია აუცილებელ მიზანზე ხელის აღებისა?

ამ ლოღიკით ცხოვრებაში არ უხელმძღვანელია არც ერთ ცოცხალ, მოქმედ და მოზარდ ძალას. მუშათა ორგანიზაცია, რომელიც თანამედროვე სოციალ ცხოვრებაში დარაზმვისა და ორგანიზაციულობის ნიმუშს წარმოადგენს. განა შეიძლებო და შემდგარიყო რომ მუშათა კლასის იდეოლოგებს იმ თავითვე ამ ლოღიკით ეხელმძღვანელათ: რადგანაც სუსტნი ვართ და პირველ შეხლის დროს დამარცხება მოგველის, ამისათვის არც დარაზმვაა საჭირო და არც მუშური იდეოლოგიაო! გვგონია რომ არა! ასეთია ქართველობის საქმეც თბილისშიც და სხვაგანაც. რწმენა ეროვნული იდეის გამარჯვებისა, რწმენა, რომ საქართველოში ქართველობაზე ბატონობის უფლება არავის აქვს, ერთი სიტყვით, ეროვნული მომავალის იდეალი მოითხოვს ჩვენგან ეროვნული პრინციპით გამოსვლას და ეროვნული „რაზმით" საარჩევნო ბრძოლაში ჩარევას.

ამ წესით ბრძოლაში გასული ქართველობა ერთ ხმოსანსაც ვერ გაიყვანს, 1400-ზე მეტი ქართველი ამომრჩეველი ყოველგან, ყოველს უბანში სომხობის უმრავლესობისაგან გაილახება. ორი რამაა, რომელიც ქართველობას, როგორც ეროვნებას, თბილისის არჩევნებში ამარცხებს. ერთი წმინდა „მოქალაქეური", ეგრე ვსთქვათ „ექს-ეროვნული", ცენზის პრინციპი და მეორე, უფრო კერძოთ, საარჩევნო უბანთა ისეთი განაწილება, რომ ამ უბნებში მოყოლილი ქართველი ამომრჩეველი სხვებში უსახოდ ითქვიფება და ინთქება. ფაქტიურად ისე გამოდის, რომე თუ სომხობას **ჰსურს,** ერთი ორი ქართველი ხმოსანი სამადლოთ გავა, თუ **არა ჰსურს,** ვერც ერთი ქართველი ვერ გავა. ამ „ექს-ეროვნულ", წმიდა „მოქალაქეურ" პრინციპს, რომლის კანონიერ ბატონობის დროს ქართული ეროვნება სრულიად ქალაქის თვითმართველობის გარეშე რჩება, ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ წმიდა **ეროვნული** პრინციპი. მოვითხოვოთ რომ ქართველობის 1400-ზე მეტი ხმა სხვებში არ იკარგებოდეს, უგზო-უკვლოდ არ ინთქებოდეს სომხობის ხმების მიერ. მოვითხოვოთ, ქართველის ცენზიანი ხმა დაცული და დაფარული იყოს **კანონისაგან.** მოვითხოვოთ ვისაც ეხელმწიფების იმისაგან, რომ ქართველ ერს თავისთავად **უფლების** ძალით შეეძლოს თავის წარმომადგენლები იყოლიოს თავის დედა-ქალაქის თვითმართველობაში. მოვითხოვოთ **ეროვნული პროპორციულ,** (თანაბარი) **წარმომადგენლობა.** მოგვენიჭოს უფლება რომ ქალაქის თვითმართველობაში ქართველი ერისთვის **იმდენი სახმოსნო სავარძელი** იდგეს, რამდენიც დღევანდელი ცენზის პირობებში შეეფერება და შეერგება თბილისის ცენზიან ქართველობის რაოდენობას. დღეს თბილისში მხოლოდ **ასეთი კანონი** დაიცავს ქართველობის ეროვნულ ინტერესსა და პრინციპს. მთელმა ქართველობამ განურჩევლად მიმართულებისა და წოდებისა, ერთ ეროვნულ იდეის ენტუზიაზმში, ამ **ერთად-ერთად** სამართლიან მოთხოვნილებას მხარი უნდა დაუჭიროს. ამ მოთხოვნილების გარშემო უნდა შეერთდეს მთელი ქართული პრესა და ერთის გრძნობით და ერთის ლოღიკით ალაპარაკდეს; ყოველგან და ყოველთვის მან უნდა თავის მკითხველს ჩაუქსოვოს ეროვნული ინტერესის და უფლების დაცვის აზრი; უნდა შეერთდნენ ქართული სოფლები ურთიერთშორის, უნდა შეერთდნენ საქართველოს სოფლები და ქალაქები და ასე შეერთებულმა მთელმა საქართველომ გადაჭრით სთქვას: „მოგვეცეს ეს მცირე **უფლება** საქართველოს დედა-ქალაქში. ვიდრე იგი არ მოგვეცემა, ქართველობა მოწყალების სახით, თბილისის თვითმართველობაში შემსვლელი არ არისო! ასეთი უნდა შეერთებული ქართველობის ბრძოლის წესი. ამას კი აქტიური ეროვნული ბოიკოტი ჰქვიან! ხმა ერისა, ხმა ღვთისაო!

თუ რამდენად ანგარიშ გასაწევი იქნება ქართველობის ასეთი პირმტკიცე და ერთსულოვანი გამოსვლა დღეს ამ კონკრეტულ საკითხის დასაცავად, ეს იმათ ივარაუდონ და იკვლიონ ვისაც ჰმართებს ამ ერის ხმის მოსმენა. შეტის თქმა, ტაქტის დარღვევად მიგვაჩნია. ბრძოლის ამ მეთოდის შემოქმედი ძლიერება ქართველისათვის საკამათი არ უნდა იყოს. დავირაზმნეთ და ვიმოქმედოთ!

**ს. კედია.**

*) იხილე „საქართველო" № 8

მწყობრად ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი ბ-ნ ზ. ი. ჩხიკვაძის ლოტბარობით. განიცადეზე გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზ ზ. ტყემალაძემ. წირვის ბოლოს მობრძანდა მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თვისის თანაშემწეებით.

მეფის ნაცვალს შეხვდა ექსარხოსი ჯვრითა და აიაზმით და მოკლე სიტყვით მიმართა.

შემდეგ დაიწყო პარაკლისი, რომელიც ჩვეულებრივ მეფისა და მის საგვარეულოს მრავალ-ჟამიერით დამთავრდა. წირვის შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი და უმაღლესი სამღვდელოება დეკ. მ. ტყემალაძესთან იქმნა მიწვეული სადილად.

## ძმურ ნუგეშში

წმ. ნინოობის დღეს, ძმურ ნუგეშში გაიმართა ფრიად საგულისხმიერო სამუსიკო-ვოკალური საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა ახალგაზდა მომღერლებმა ოპერის არტისტმა ბ-ნ ჩიგიანმა, ბბ. ჩუბინაშვილმა, ლეჟავამ და თარხნიშვილმა. ბ-ნ კოპელნიცკიმ ვიოლონჩელზე საუცხოვოდ შეასრულა რამდენიმე ნომერი. პიანისტმა ვახტანგ ჯაბადარმა როიალზე შეასრულა თვისი ნაწარმოები. რუსის ახალგაზდა მგოსანმა ბობილიოვმა ქართულ ტემებზე საუცხოვოდ წაიკითხა თვისი ლექსები. დარბაზი გაჭედილი იყო ქართველ საზოგადოებით. საღამოს დიასახლისობდენ ქ. ნ. დ. მანსვეტაშვილისა, კნ. დ. დ. ჯავახიშვილისა და ბ. ი. ბერიშვილი.

## ქარ. კულტურულ-განმან. საზ. წარმომადგენლების კრება

კრება გახსნა დღის 12 საათ. 35 წუთ. გ. ნ. ყაზბეგმა, რომელმაც მოკლე შინაარსიანი სიტყვით განუმარტა დამსწრე საზოგადოებას აღნიშნულ დაწესებულებათა კავშირის დაარსების მნიშვნელობა და სთხოვა წარმომადგენელთ აერჩიათ კრების თავმჯდომარე. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თვით გ. ნ. ყაზბეგი, ხოლო მდივნათ ვარ. ბურჯანაძე.

კრებას დაესწრნენ 20 სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი, რომელთაგან 8 დაწესებულების წარმომადგენელნი ამორჩეულნი აღმოჩნდნენ დაწესებულებათა გამგეობისაგან, და არა ამა თუ იმ დაწესებულების საზოგადო კრებისაგან, რასაც წესდება თხოულობს, ხოლო 12 დაწესებულების წარმომადგენელნი წესდების მოთხოვნილების თანახმად იყვნენ ამორჩეულნი. კრება კანონიერად გამოაცხადა თავმჯდომარემ, მაგრამ ზემოაღნიშნულ 8 დაწესებულების წარმომადგენელთ, რომელნიც გამგეობათა მიერ იყვნენ არჩეულნი, კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება არ მიეცათ.

კრების საგანს შეადგენდა არჩევა გამგეობის 7 წევრისა და 3 კანდიდატისა. ვინაიდან კავშირი ახლად არსდება და სასურველია მის გამგეობის არჩევნებში ყველა წევრმა მიიღოს მონაწილეობა, ამიტომ კრებამ საჭიროდ სცნა არჩევნების გადადება ორი თვის ვადით, სანამ ყველა საზოგადოება წესდების თანახმად მოასწრებდეს თავის წარმომადგენლების არჩევას. მანამდის კი კავშირის გამგებლებად კრებამ დასტოვა დამფუძნებელი წევრები კავშირისა გ. ნ. ყაზბეგი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და ე. ს. თაყაიშვილი.

## რუსეთის საფინანსო პოლიტიკა

II

ყველამ კარგად იცის, რომ ომისათვის უპირველესად საჭიროა ფული და ფული. გამარჯვებული გამოდის ის სახელმწიფო, რომლის ფინანსები მსოფლიო ტრაღედიას არა თუ გაუძლებს, არამედ ზურგსაც მოიმაგრებს და ხელს შეუწყობს მეომარ მხარეს. ეს კი მოითხოვს როგორც სახელმწიფო თვალსაზრისით გამორკვეულ ფინანსიურ სისტემას, ისევე ეკონომიურად განათლებულ და აღზრდილს ხალხს. საჭიროა თვით ხალხი კულტურით ახლოს იდგეს და ესმოდეს თანამედროვე ფინანსიური კომბინაციების შინაარსი. ამ ხრივ რუსეთის ხალხი ძალიან ნაკლებათ არის მომზადებული.

დღევანდელმა ომმა სამი მთავარი საკითხი წამოუყენა რუსეთის მთავრობას: 1) იშოვოს ომისათვის საჭირო ფული. 2) შეავსოს შემოსავალი, რომელსაც არყის მონოპოლია იძლეოდა. 3) გამოინახოს ახალი წყარო, რომლის შემოსავალიც დაჰფარავს ომის შემდეგ სახელმწიფო დეფიციტს.

პირველი საკითხის მოსაგვარებლად ფინანსთა მინისტრი აღიარებს მხოლოდ შინაგან და გარეშე სესხს. ამასთანავე მინისტრი საჭიროდ სცნობს, რაც შეიძლება გაფართოვდეს ბაზარი, სესხის გასანაღდებლად. როგორც თვითონ აღიარებს, სესხის მოწესრიგება ძლიერ ძნელია რუსეთში: ხალხს არც ესმის და არც გულმოდგინედ ეკიდება სარგებლიან ქაღალდებს.

როგორც მინისტრის განცხადებიდან სჩანს, ახლო მომავალში გამოცხადდება მეოთხე 2 მილლიარდიანი შინაგანი სესხი.

რაც შეეხება მეორე საკითხს ე. ი. შეავსონ ის შემოსავალი, რომელსაც არყის მონოპოლია იძლეოდა, მინისტრს ფიქრად აქვს ამის შესახებ განსაკუთრებული ზომები მიიღოს. მისი აზრით შეუძლებელია ომიანობის დროს რაიმე გადასახადის შემოღება ძირითად კანონების 87 მუხ ძალით. ის გადასახადები, რომელიც უკვე შემოღებულია, უკვე შესამჩნეველ შემოსავალს იძლევა. მაგ. რკინის გზებზედ დაწესებული გადასახადი 1916 წელს შემოიტანს არა ნაკლებს 578 მილიონ მანეთსა.

მომავალ დეფიციტის დასაფარავად განზრახულია შემოსავალზედ გადასახადი. არა პირდაპირ გადასახადებიდან მინისტრი საჭიროდ სცნობს შემოიღოს გადასახადი ყოველგვარ ქსოვილებზედ და თამბაქოზედ. აპირებენ აგრეთვე გადასახადის დადებას ბილიარდზედ, კინემატოგრაფების მონოპოლიას; იმუშავებენ პროექტს რომლის ძალითაც მოქალაქეობის მისაღებად მსურველნი 3 მანეთს გადიხდიან.

მინისტრი დიდი მომხრე არა ყოფილა მონოპოლიებისა.

ასეთია ახალი საფინანსო გეგმა რუსეთისა. მაგრამ მარტო გეგმის შემუშავება სრულებითაც არა კმარა, შესამჩნევი ნაყოფის მისაღებად, თუ თვითონ ქვეყანა ახალი ეკონომიური ძალებით არ ამოძრავდება, თუ მთელი ბუნებრივი სიმდიდრე არ დამუშავდა და საზოგადოთ წარმოება, მეურნება ხალხის საკეთილდღეოთ არ ამოძრავდა.

ა. ა.

## დიმიტრი ყიფიანის წერილებიდან

**უეზდის მარშლებს.**

მოწყალეო ხელმწიფევ,

კაცობრიობისათვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის დიდი მსხვერპლი მოგვეთხოვება: ჩვენი ბატონ-ყმობის საქმე, ანგარიშით, ამ მომავალ ნოემბერში უნდა დაბოლოვდეს.—კეთილ გონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდაზედ მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსაგებელს ისე ვერა აღადგენს რა და ვერა შეავსებსრა, როგორც სწავლა და განათლება ჩვენის შთამომავლობისა.—აქ გვჭირდება სხვა მსხვერპლი საკუთრად ჩვენის საზოგადოების სარგებლობისა და არსებობისათვის. თბილისის გიმნაზიის პანსიონში შესაყვანად ირიცხება ასამდის კანდიდატი; ინსტიტუტშიაც ირიცხება ორმოცდა ათზე უმეტესი,— და ამათაგანი იქნება შევიდნენ წელიწადში ათ-ათი ან თორმეტ-თორმეტი.—დანაშთენთ გარდა სხვანი რამდენნი რჩებიან კიდევ შინ უსწავლელნი, რომ პატრონებს არა აქვთ ღონე თავისი ხარჯით იმათი აღზრდისა.—და ახლა ბატონყმობის საქმის შემდეგ რამდენათ უფრო გაუჭირდებათ,—ეს თქვენის უეზდის მიხედვით თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

სხვა მრავალს მსხვერპლთან გაებედოთ ერთი ისეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველის დროიდან განთქმულს ქველის მოქმედებასა და კეთილშობილების ღირსებას შეეფერებოდეს და ერთი ერთმანეთს ხელი გაუმართოთ ჩვენის შვილებისა და შთამომავლობის სწავლასა და განათლებაზედ.—დროებითი სარგებლობა ქვეშევრდომთ სამუდამო სარგებლობის საჭირო არის ფული და საჭირო არის ზრუნვა.

ფულის მოკრეფის განზრახვა რაოდენგზისმე უწინაც წარმოთქმულა ჩვენს საზოგადოებაში. ამას გარდა ვალი გვმართებს, ველიკი კნიაზის ბალისა, ნასლედნიკის სადილისა, სახლის ქირისა, სადაც ჩვენი კენჭი მოდიოდა, მაგრამ ახლანდელ დროში ფულის მოკრება სრულიად აღარ არის საფიქრებელი.

ფული ჩვენ გვეძლევა ყმების სამსახურის სამაგიეროდ. ბევრი მოგვეცემა თუ ცოტა, ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომაზედ არის დამოკიდებული; რაც მოგვეცემა აქედან გადავსდვათ წილი რომელიმე, რომ ამ წილმა იტრიალოს ჩვენს საზოგადოებაშივე და იმის სარგებლით შევიყვანოთ გიმნაზიაშიაც და ინსტიტუტშიაც ჩვენი ქალები და ვაჟები, ზოგი გაჭირვებულის და ზოგი შემძლე დედმამის შვილები და ვალებიც გავისტუმროთ.

მანათიდამ რომ ერთი აბაზი დავთმოთ, მაშინ შევიძლებთ ვალების გასტუმრებასაც, რომელიც არის ათას სამას თუმნამდისინ,—და ას ორმოცდა ათამდის ქალებისა და ვაჟების აღზრდისაცა.

ჩვენი საქმე ამითი ერთს კარგს ნაბიჯს გადასდგამს დაწინაურების გზაზედ; და საქმე, ხომ მოგეხსენებათ, პირველი ნაბიჯია, მზრუნველობა, ზედამხედველობა, კეთილხნეობის დანერგვა ამ ჩვენთ ახალთ მოსწავლეთა შორის ვალად დავსდვათ ჩვენგანვე აღმორჩეულს პირებს, რომელნიც თბილისში მსახურებენ.

ამაზედ დაწვრილებითის პროექტის შედგენა, მმართებლობის წინაშე შუამდგომლობა და სხვა საქმის დასაწყობი განკარგულება სხვათა შორის ესეც, რომ თავნი მარად ხელუხლებლად იყოს ‑ იმისი სარგებელი მხოლოდ ამ საქმესა ხმარდებოდეს,—ეს ყოველივე საკუთრად ჩემი ვალი არის; და წესდებას შევადგენ და თავის დროზედ გაგაშინჯებთ.—მხოლოდ მანეთზედ აბაზი გადავსდვათ იმ ფულიდან, რაც ყმების სამსახურის სამაგიეროდ გვებოძება.

ამას მე ვითხოვდი საზოგადოებისგან დიდის ვედრებით. მაგრამ ვიცი, რომ ჩვენს საზოგადოებას თხოვნა კი არ უნდა ამისი,—მხოლოდ მოგონება უნდა; წინააღმდეგობას თუ ინებებს ვინმე, მე ამას ვერას დროს ვერ ვიკისრებ და ქართველთ კეთილშობილებს მე ამას ვერ ვაკადრებ.

მხოლოდ თქვენს ბრწყინვალებას მოვმართავ, რომ ეს ჩვენი აზრი განავრცელოთ ჩვენს საზოგადოებაში და თუ უეზდის საზოგადოების შეკრება მოხდება სხვა საჭიროებისათვის რისთვისმე, მაშინ ჩუმად გარდასცეთ ეს აზრი შეკრებილებსა და რასაც ინებებენ, პროტოკოლი შეადგინოთ კანონთამებრ და მე მიბოძოთ—თავის ადგილს წარსადგენად.

ერთს დავუმატებ კიდევ.—რა რომ საქმეს შეუდგებით, საფუძვლიანათ უნდა შეუდგეთ, რომ კეთილ განზრახვასა შედგომილებაც კეთილი დაჰყვეს.

საფუძველი ამ საქმისა ეს არის, რომ თუ მოსალოდებელის ფულიდამ ნაწილს გავიმეტებთ ამ საქმისათვის, გავიმეტოთ არა ნაკლებ 20%-ზე, ე. ი. მანათზედ ერთი აბაზი. თუ შეკრებილებამ უმეტესის ხმით მეტი დააწესა, ეს უკეთესი; ოღონდ თანასწორი კი იყოს ყოველთათვის, რომ სხვა და სხვა ნაწილის დაწესებით ანგარიში არ დაბრკოლდეს. თუ უყმომ თავადაზნაურთაგანმა ვინმე ამ საქმეში მონაწილეობა ინება, ფული ცალკე უნდა შემოიტანოს, რასაც გამოიმეტებს.

თვითონ ჩვენი მარშალი რას იმეტებსო თუ იკითხა ვინმე,—მე დიდის სიამოვნებით გადავსდებ ნახევარს იმ ფულიდამ, რაც ჩემსა და ჩემის ძმების ოჯახს შეხვდება, ე. ი. 50 პროც. ერთის სიტყვით რასაც უეზდის შეკრებილება დააწესებს, მეც სიხარულით თანა წარვხდები, ოღონდ ნაკლები არ იყოს მანეთზედ აბაზისა.

ეს საქმე დიდი საქმეა ჩვენთვის და განსაკუთრებით თქვენგან, უძვირფასესო კნიაზო—დიდს შემწეობას ველი, რომ კეთილად წარიმართოს.

სრულის პატივისცემით და ერთგულებით დავშთები თქვენის ბრწყინვალების.

31 აგვისტო, 1864 წ.

**კნიაზს გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს.**

მოწყალეო ხელმწიფეო
კნიაზო გრიგოლ დიმიტრის ძე

კერძოობითად მე იქნება დანაშაული მიმიძღოდეს რაიმე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყო წყრომისა,—თუმცა კი დიდის სიამოვნებით შევინანიებდი, რომ ვიცოდე;—მაგრამ რაც მოხდა მოხდა; მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მოგმართავ თქვენს ბრწყინვალებასა: დიდს შემწეობას გევედრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც, უეჭველია, ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენის კეთილის გულისაგან შეუწყნარებლად განაგდებთ.

პირი მომირთმევია ამასთანავე უეზდის მარშლებთან ჩემის მოწერილობისა და საქმეს აქედამ მოიხსენებთ. თუ თქვენის სახიერის გრძნობით სასარგებლოთ ჰპოვოთ ეს საქმე ჩვენის საზოგადოებისათვის, პირადს ჩემს დამდურებას ნუღარ გაიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენის სიტყვითა და მონაწილეობითა.

ულრმესის პატივისცემით და მარად ერთგული დავშთები თქვენის ბრწყინვალების.

## სასიამოვნო სტატისტიკა

რომ ღმერთს თავისი მადლიანი და კურთხეული კალთა ჩვენს ტურფა და კეკლუც სამშობლოში დაუბერტყია, ამას, ვგონებთ, მტკიცება არა სჭირია. ტყე, მინდორი, მთა, ველი, გორა, ბაღ-ვენახი, მდინარე, ჰავა, ნოყიერი ნიადაგი, მიწაში ჩაფლული სიმდიდრე და სხვა და სხვა—ყოველივე ეს ჰარმონიულად შეზავებულია ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში. ასეთ ბედნიერ ქვეყანაში სიცოცხლე უნდა სდუღდეს და გადმოდიოდეს. ხალხის ყოველმხრივი კეთილდღეობა უტყუარი ფაქტი უნდა იყვეს. მაგრამ... მიმოიხედე, მკითხველო, გარშემო. რასა ვხედავთ? ერი დაბეჩავებულ-დაგლახებული, მშიერმწყურვალი, გაუნათლებელი, ყოველ ინიციატივა-თვითმოქმედებას მოკლებული. ჩვენ, კურთხეულ ქვეყანას 3—4-ჯერ მეტი ხალხის გამოკვება უნდა შესძლებოდა, დღეს კი რის მოწამენი ვართ? თვალები რუსეთისკენ მიგვიპყრია და თუ იქიდან არ მოგვივიდა ფქვილი და სხვა სანოვაგე, თურმე შიმშილით ამოწყვეტა მოგველის. რა არის ამის მიზეზი? ჩვენი გაუნათლებლობა. იტყვიან, მადლობა ღმერთსა, ეხლა ბლომად იხსნება სასწავლებლები, დაბალნი და საშუალონი; წინეთ თუ მარტო გუბერნიის ქალაქებშ. ძლივს შეხვდებოდით საშუალო სასწავლებლებს, ეხლა დაბა სოფლებშიაც კი იხსნება ასეთი სასწავლებლები. ბლომადაც იხსნება დაბალი და უმაღლესი პირველდაწყებითი სკოლები. ყველა ეს კარგი და საჭიროა და აკმაყოფილებენ მხოლოდ საკითხის ერთ მხარეს. თუ ზემო მოყვანილ სასწავლებლებს სარგებლობა მოაქვთ, ერთნაირი საგრძნობელი ვნებაც მოაქვთ. ყველა ამ სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი სოფელს, ხალხს ვშორდებით, ქალაქებისკენ მივეშურებით, თავის სარჩენად ჯამაგირიან ადგილებს ვეძებთ. ამ მოვლენას, რასაკვირველია, თავისი გამამართლებელი მიზეზები აქვს. ჩვენი დღევანდელი ცხოვრების და მდგომარეობის ვითარება კი ისეთია, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგეს—ინტელიგენციის ნაწილი ისევ **სოფელს უბრუნდებოდეს, ხალხთან კავშირს არა სწყვეტდეს.**

თუ ამდენი მამული ხელიდგან გვეცლება, ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ **არ გვიყვარს** და არათ ვაგდებთ მიწას, არ ვაფასებთ იმიტომ, რომ იგი დღეს შემოუსავლიანია და ვერ გვაცხოვრებს, შემოუსავლიანი კი იმიტომ არის, რომ არა გვაქვს ცოდნა, თუ როგორ უნდა, თანამედროვე მეცნიერების მიხედვით, მიწის დამუშავება. რატომ არ ვიცით? იმიტომ, რომ **ამისათვის არავინა ზრუნავს და არა ხსნიან სპეციალ სასწავლებლებს** განა შესაძლოა სხვა რომელიმე, (კოტათ თუ ბევრად განათლებულ სახელმწიფოში, ჩვენი ქვეყნისთანა ჰავით, ნიადაგით, ბუნებით შეზავებული მხარე იყვეს და ერთი სპეციალი სასწავლებელი არ მოეპოვებოდეს? განა წარმოსადგენია სხვაგან ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, სვანეთი უისეთ სკოლებოთ, სადაც ასწავლიან ბაღ-ვენახის მოვლაგაშენებას, ღვინის მოვლა-დაყენებას, საქონლის მოვლა-მოშენებას, აბრეშუმის და თამბაქოს მოყვანა-გაკეთებას, მთა-მადნეულობას, ჰიდრო-ტეხნიკას? განა შესაძლოა სხვაგან, რომ მტკვრის და რიონის ნაპირებზე ზაფხულის გოლვა ნათესებს სწვავდეს? რასაკვირველია, არა! ჭეშმარიტად, შესაბრალისია ჩვენი მხარე, უპატრონოდ მიგდებული, გაპარტახებული! თუ კარგად ჩავუკვირდებით ამ გარემოებას, უეჭველია, იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ჩვენი ხალხის ეკონომიური ძალა და მიწის შენარჩუნება პირდაპირ დამოკიდებულია იმაზედ, გვექნება თუ არა სამეურნეო სკოლები, გვეყოლება თუ არა აგრონომიული ცოდნით აღჭურვილი თაობა. ამიტომ ყოველივე მოვლენა, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, ჩვენ გულს იმედის სხივსა ჰფენს და უიმედობას არყევს. აი ასეთი იმედის მომგვრელად მივაჩნია ამ წინაზედ გაზეთში („ზაკ. რეჩში“) მოთავსებული ანგარიში შესახებ ინჟენერ ვინოგრადოვის მიერ დაარსებულ კულტურ-ტეხნიკურ საშუალო სასწავლებლისა. ეს ანგარიში ბევრნაირად არის საყურადღებო, მაგრამ მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ ჩვენთვის საინტერესო და საგულისხმიერო ადგილებს. კულტურ-ტეხნიკური სასწავლებელი გაიხსნა გასულ წლის იანვარში.

(დასასრული იქნება)

ვარ. ჯაფარიძე.

## ქართველ მაჰმადიანთა გამოჩენილი კაცები

**მუფთი ჰასან ეფენდი ვერძაძე**

ქართველ მაჰმადიანებს ჰყავთ თავიანთი მოწინავე კაცები. ღირსეული კაცები. ღირსეულნი პირნი მათში მოიპოვებიან როგორც ერის კაცებში ისე სასულიერო წოდებაში. ამიტომ ჩვენის შეძლების დაგვარად ხანდისხან ავნუსხავთ თითო ოროლა პირთა ცხოვრების ცნობებს. ამ ჟამად ჩვენ შევეხებით ბათუმისა და აჭარის მუფთს ჰასან ეფენდი ვერძაძეს, რომლის ცნობებიც ჩვენ გაგვახსენა სოფ. ზუნდაგაში გაუქმებულ და მოსპობილ ძველი წიგნების ამბებმა.

ჰასან ეფენდი ვერძაძემ მუფთის თანამდებობა აჭარა-ბათუმის მიიღო 1890 წ. მუფთის ახმედ ხალიფაშვილის სიკვდილის შემდეგ. ჰასან ეფენდის მამაპაპანი გამოჩენილნი ყოფილან როგორც ქრისტიანობის ხანაში, ისევე ისლამთან დაკავშირების შემდეგაც. ქრისტიანობის დროს, ამათი წინაპარნი სულ სასულიერო პირნი ყოფილან და ისლამის მიღების შემდეგაც მათ რიცხვს მალე გამოუჩენია თავი ყურანის სწავლაში და დროით თავი სასულიერო კაცებიც გამხდარან.

ირდაბაში ყოფნის დროს იგინი დიდს ენერგიას იჩენდენ თურმე ოსმალურს, არაბულს და სპარსულ ენების შესწავლაში. ყველა მათგანი, თურმე, სტამბოლს მიდიოდა და იქ იღებდა არაბულს სწავლა-განათლებას. სწავლის დამთავრების შემდეგ მექასა და მედინაშიაც მოგზაურობდნენ, სადაც მათ ეძლეოდათ მეტი ცოდნა და განვითარება.

ასე ყოფილა ამ გვარის წევრთა განვითარების საქმე, მხოლოდ ამ ჰასან ეფენდის კი სტამბოლი თვალითაც არ უნახავს, მას საქართველოში მიუღია არაბული და ისლამის სწავლა-განათლება, ოსმალური, არაბული და სპარსული ენები მას ბაიგამაში შეუსწავლია და ისლამის სწავლა კი აჭარის მუფთის სკოლაში, რომელი სკოლაც ქედაში არსებობდა. ქედაში მუფთის სკოლის დაარსება ეკუთვნის 1770 წლებს, იგი არსებობდა ქედაში 1890 წლებამდის. მუფთი ახმედ ხალიფაშვილი ამ სკოლის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო.

ამ სკოლაში ყოველთვის სწავლობდენ 100-მდე ქართველი მაჰმადიანი მოზარდი შვილები, რომელთაც მომავალში სასულიერო წოდება ელოდათ, ესე იგი როგორც ჩვენებური სემინარია. ხსენებულის სკოლის გაუქმების შემდეგ, ქართველ მაჰმადიანთ ძენი სტამბოლში მიდიან და იქ იღებენ სასულიერო განათლებას, მერე იქვე ნიშნავენ მათ ხოჯებად და მოლებად. ადრე კი ასეთი პირნი თვით საქართველოში მზადდებოდნენ. ასეთი სასწავლებელი სულ ძველად კი, ანუ XVII საუკუნიდამ ახალციხეში ჰქონიათ გახსნილი, ასეა თქმულება მათში.

ჰასან ეფენდი, მართალია, სტამბოლში არ იყო ნასწავლ-ნამყოფი, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი კარგად იყო განვითარებული, ყოველივე ასეთ გონიერებას ეხმარებოდა ის გარემოებაც, რომ იგი ბუნებითაც იყო მრავალ-გონიერი და სწავლის მოყვარე. იგი თავის ცოდნით, მოქმედებით და შრომით ბევრს სჯობდა და აჭარბებდა. თვით იტყოდა ხოლმე შემდეგს:

ზოგი ერთი ხოჯიები მისთვის მემდურებიან, რომ შენ სტამბოლში ნამყოფი ნასწავლი არა ხარო და ამიტომ მუფთი კი არ უნდა იყო, არამედ სოფლის ჯამეზად ხოჯაო.

მყვედრიან კიდევ: შენ რუსის გუბერნატორს და უფროსებს მეჩეთში შემოსვლის დროს ფეხზედ უდგები და ხელსართმევო. ეს დამცირება არის მუსულმანის კაცისაგან ისლამის წინაშეო. მყვედრიან კიდევ მასაც, რომ ვითომც სამართლის გარჩევის დროს, მე შერიათის წინააღმდეგ ვიქცევი და საქმეს ყალბათ ვსჭრიო და სხვაც ბევრი ასეთნი.

დიახ, ეს მართალი გახლავსთ და თვით მე მქონია შემთხვევა აჭარაში ისეთ ხოჯებთან ლაპარაკის, როცა მათ მუფთის შესახებ ასეთი საყვედურები უთქვამთ. ამ მუფთის დიდი მტერი იყო ხოჯა იბრაიმ ეფენდი კაპნისთაველი.

ეხლა მოგახსენებთ იმასაც თუ ეს მუფთი ამ ბრალდებათა შესახებ რას ლაპარაკობდა, როგორ მართლულობდა თავს.

ჩემი სიყალბის გამო, ჩემს მტრებს გარდა, მე სხვებს დავეკითხები, თუ ისინი იტყვიან ასეთ რამეს, მე მაშინათვე თავს დავანებებ მუფთის თანამდებობას, თუ არა და ჩემმა მტრებმა რამდენიც უნდა სთქვან რამე.

გუბერნატორს და რუსის დიდ კაცებს ფეხზედ უდგები და მუსულმანი კაცი და ისიც მუფთი ხელს აძლევო. ამაზედ ვიტყვით შემდეგს:

ჩვენ რუსეთის ხელმწიფისთვის ერთგულებაზედ ფიცი მიგვიცია. საქმით და მსახურებით ერთგულნი ვართ და ახლა ხელის არ მიცემით რომ ეჭვი ავაღებინოთ და უბრალოდ საქმე გავიფუჭოთ ნუ თუ ეს კაი იქნება? გუბერნატორი ჩვენი უფროსია და სხვა არა იყოს რა მარტოდ ზრდილობა არ მომცემს ნებას, რომ მე იმას ხელი არ გაუწოდო იმ დროს, როცა იგი ჩემსკენ წამოვა და ხელს გამომიწვდის.

ასეთ გონივრულს შენიშვნებს გარდა იგი იყო შეგნებული ქართველი და ქარ[illegible] ყოველთვის ასე [illegible].

— ძიავ ბატონო, ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, ჩვენი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი ენა და რწმენაც ქართულია. ვინც ამას არ დაიჯერებს, მაშინ იგი მობრძანდეს ჩვენს სოფელში, იქ ნახოს ძველი ნაშთები, ჭურები და სხვაც ბევრი რამ და ის მაშინ ცხადად დარწმუნდება ამაზედ. ჩვენს სახლში ჩვენი ქალი ბაღანა სულ ქართულ წიგნებს კითხულობენ, მაშ რა ვართ, თუ ქართველები არ ვართ, მაშ ჩვენ ყაზანის თათრები ხომ არ ვართ.

მუფთიმ ამ კილოთი ლაპარაკი საჯაროთაც იცოდა. ბევრს სასიკეთო მხარესთან იგი იყო მეტად გულ-კეთილი კაცი. მას ბათუმში ბევრი ადგილები აქვნდა და სახლიც ბევრის ოთახებიანი, სადაც უმეტესი ნაწილი დგმურების სულ ხელოსნები და მუშები ჰყავნდა და ისიც სულ ქართველები.

დგმურები, რომელთაც ქირის გადახდა არ შეეძლოთ, მათ იგი კარგა ხანს აცლიდა, ზოგს პურის ფულსაც ასესხებდა ხოლმე და დააცლიდა იმ დრომდის, ვიდრე ეს გაჭირვებული საქმეს იშოვნიდა.

ვისაც პასპორტი არ აქვნდა, ან დაეკარგებოდა, ან ძველი პასპორტი აქვნდა და პოლიცია აწუხებდა, იმას პოლიციაში თავდებათ უდგებოდა და ათავისუფლებდა ახალ პასპორტის მოსვლამდის.

ვისაც ქართველებში სამუშავოთ დადგომის დროს თავდები უნდოდა და მას კი ეს არ აქვნდა, იმათ ქარხნებში თავდებათ უდგებოდა და ბევრს ალაგას ამისთვის ფულიც ეხარჯებოდა, ასეთებს სხვასაც ბევრს რამეს აკეთებდა, მაგრამ ჩვენ აქ მარტოდ ეს სამი ცნობა მოვიყვანეთ, ესეც კმარა ამის საბუთად.

მოვიყვანთ კიდევ ერთ ამბავს, რაც განსვენებულმა პირადათ მე მიამბო 1906 წ. და რასაც სიტყვა-სიტყვით მოვიყვან აქ. ამ ნახვის შემდეგ მე იგი აღარ მინახავს და მით ჩემი მგზავრობაც მოვსპე აჭარაში, რადგანაც დიდი შიშიანობა ჩამოვარდა.

1905 წ. ბათომში ზოგიერთმა ბოროტმა პირებმა შეადგინეს ერთი წრე, რომელ წრეშიაც რამდენიმე ქართველ მაჰმადიანთ ბეგებიც ერივნენ. ამათ განიძრახეს ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანებთ შორის მტრობის ჩამოგდება, მერე დაცემა და ქართველების ამოჟლეტა ბათომსა და მთელს მის გუბერნიაში. ამისთვის თურმე დიდი სამზადისი ჰქონდათ. ამავე მიზნით მათ მიმართეს ბათომის მუფთსაც ჰასან ეფენდის და სთხოვეს, რომ ესეც მათს კრებას დასწრებოდა. მუფთი კრებას დაესწრო. აქ თურმე უფთს გარდა სხვანიც იყვნენ ხოჯიები და მოლები.

მუფთი ჰასან ეფენდიმ შეკრებილთ განუცხადა: მე არ ვიცოდი ამისთვის მიბარებდით, თორემ რომ მცოდნიყო ეს ამბავი; მაშინ მე არ მოვიდოდი. მე ამ ხოჯებს არ ვეთანხმები.

ქართველები ჩვენი ნათესავები არიან, ბიძაშვილები, მამიდას შვილები, ჩვენ და ისინი ერთ ენის და სისხლის ხალხი ვართ და აბა ეს როგორ შეიძლება ჩვენგან. მე ღმერთმა დამიფაროს ამისაგან და თქვენცა გთხოვთ, რომ მაგ საქმეს თავი დაანებოთ.

მეორე: მე სასულიერო პირი ვარ და ვალდებულად ვსთვლი, რომ არამცა და არამც ასეთ საქმეს ხელი არ ვუწყო და ამიტომ მე რად მომართეთ ასეთის დავალებით და მესამე, აბა შეხედეთ ჩემს თეთრს წვერს, ჩემს სახეს და დააფიქრდით ამასაც, თუ ჩემგან შეიძლება იმ დავალების ასრულება რასაც თქვენ მავალებთ, მე განა იგი შემფერის კიდეც, რომ ასეთ საქმეებში გავერიო. მეტს აღარას გეტყვით. მე როგორც გიახელით აქ, ისევე წავალ აქედამ და თქვენც გთხოვთ დაიშალნეთ.

მერე რა იქმნა და რა მოხდა, ეს ხულიგანთა წრე არსებობდა თუ არა და ან რა განზრახვას მიეცნენ, ამის ჩვენ არაფერი ვიცით.

მცირე ხანს შემდეგ ეს მუფთი ჰასან ეფენდი ვერძაძეც მოკლულ იქმნა დღისით ბათუმში. მკვლელის ვინაობა კარგად ვერ მოსძებნეს და ამიტომ მიმალულ იქმნა ყოველივე.

ზ. ჭ.

## ერთი მრავალთაგანი

**(ჩვენი მამულის „მეზობლების“ ხელში გადასვლის ისტორიიდან).**

როდესაც ჩვენი მამულის უცხოთა ხელში ჩავარდნაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში თითქმის სულ მუდამ თავად-აზნაურთა მამულები გვაქვს. ვიცით თუ რა სოციალ-პოლიტიკურ პირობებში დაჰკარგა ეს მამულები ჩვენმა თავად-აზნაურობამ, როგორღაც ვაქარწყლებთ სიმკაცრეს იმ იერიშისას, რომელიც მოტანილი იყო ჩვენი ეროვნული განძის წინააღმდეგ. და ამავე დროს ჩვენს მხედველობის გარეშე რჩება ის აუარებელი გლეხკაცობა, რომელიც იმსხვერპლა ამ იერიშმა.

მამულის გადასვლა თავად-აზნაურობის როლში სცილდებოდა და სილატაკის და ეკონომიურ მონობის ხუნდებში აბამდა იმ კლასსაც, რომელსაც ერის ცხოვრება კისერზე უნდა ეტვირ-

თა თავად-აზნაურობის შემდეგ, უნდა ალეზარდა ერის მესვეურნი. ისტორია ამ პროცესისა და ამ იერიშისა განვლილ საუკუნის განმავლობაში ისეთივე სასტიკი და ულმობელია ჩვენთვის როგორც ველურ ურდოთა მრავალი შემოსევა. მოვახშე წურბელებმა შახ-აბაზობა არ მოაკლეს ჩვენ ხალხს და გამუდმებით, შეუჩერებლივ სისხლი სწოვეს მას, ანგრიეს ფუძე მისი ეროვნული ცხოვრებისა—მისი მიწა-წყალი.

საუბედუროდ დღესაც არ გათავებულა ეს პროცესი. პირიქით, დღეს თითქოს იგი თავის განვითარების აუცილებელს ნაბიჯს განიცდიდეს. რაც მამებმა, ძველმა თაობამ ჩაიდინა და შეიძინა მას დღეს შვილები, დღევანდელი თაობა გასამართლებელ საბუთებს უძებნის, თეორეტიულად ასაბუთებს ამ უმაგალითო „შახ-აბაზობას“. გაძლიერებული ამ ორი მოვლენით მადა მეზობელთა განუზომელია დღეს და მის დასაკმაყოფილებლად მიმართულმა მოქმედებამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

აი ერთი მრავალთაგანი მაგალითიც. სოფ. თორტიზაში გორელ მოვახშე სომეხს ალ. ლამბაროვს ვინ იცის რა გზით შეძენილი აქვს ამილახვრისაგან 12 დ. მიწა. ერთ ადგილას, სახელდ. „მუხიანებში“ ეს ლამბაროვი მომიჯნავე გამხადარა ამავე მემამულის სანადელო გლეხის სოსე საურისა. ამილახვრისაგან ამ „მუხიანებში“ 1200 საჟ. შესყიდული ჰქონია ლამბაროვს, დანარჩენი—საურს. ამ ჩვეულებრივი მოვლენითაც თავისებურად უსარგებლია ლამბაროვს და მეზობლური მდგომარეობა „მეზობლურად“ გამოუყენებია. ერთ მშვენიერ დღეს ლამბაროვს საჩივარი აღუძრავს, ვითომ საური სარგებლობდა მისი 1200 საჟენითაც და ფასს კი არ იხდიდაო.

საბუთების წარდგენით საურს ადგილობრივ სასამართლოში საქმე მოუგია. მაგრამ ლამბაროვს ვითომდა ზარალის ფასი აუწევია და საოლქო სასამართლოში გადმოუტანია საქმე. მართალი, ოჯახის პატრონი გლეხი, მით უმეტეს დარწმუნებული, რომ ალალ საქმეში ღმერთი არ უღალატებს, აქ ველარ მოჰყოლია მოჩივარს და შედეგი ისა ყოფილა, რომ ლამბაროვს ოცი თუმნის ლისტი ჯიბეში ჩაუკეცნია. ეს ამბავი მომხდარა ათი-თორმეტი წლის წინად. ლისტი ლამბაროვს მაგრა ჰქონია ზანდუკში ჩაკეტილი და დღეს, როდესაც მოუსავლობისა და სხვა მრავალი უბედურობის გამო ჩვენს გლეხკაცს არავითარი მმოძრავი ქონება აღარ მოეპოვება, რომ პასუხი გასცეს—ლამბაროვს ათი წლის წინეთ აღებული ლისტი (მისი არსებობა საურმა დღემდის არ იცოდა) გასანაღდებლად ბოქაულისათვის ჩაუბარებია. დრო მშვენივრად არის შერჩეული, საურს მამული გაეყიდება, რადგან დღეს ასეთი უბედურების დროს არაფერი აბადია, გამოეცლება მიწა, რომელზედაც ალაშენა მხნე, გამრჯელმა და პატიოსანმა მუშაკმა თავისი ოჯახის კეთილდღეობა. ყველაფერი ეს მოხდება, ლამბაროვს მამული დარჩება, მაგრამ დარჩება წარუხოცელად მთელის სოფლის მეხსიერებაში ისიც თუ მზიურად, ყველას თვალ წინ როგორ დაენგრა კერა სინიდისიერს მუშაკს, როგორ უსამართლოდ გაიძარცვა იგი. სოფელი კი ასეთია, მანაც იცის დროს შერჩევა, დრო კი ცვალებადია.

**იხ.**

# ჩვენი უპატრონობა

(წერ. რედ. მიმ.)

ქალაქ თბილისის თვითმართველობა რომ მცხოვრებთ აბუჩად იგდებს, ეს არავისათვის საიდუმლოება არ არის, მაგრამ თუ ასე თავხედობას გამოიჩენდა ბ-ნი ჯაბარი, ეს კი აღარ გვეგონა!

აი საქმე რაშია:

უფროსმა აგენტმა ბ-ნმა შავერდოვმა დაგვიბარა 1915 წ. და გამოგვიცხადა: თქვენ, ნომრების პატრონები ვინცა ხართ, უნდა გადაიხადოთ ეგრედ წოდებული „სრედნი აქციზიო“. იყვირა ხალხმა: „სრედნი აქციზის“ მიმცემი არა ვართ, რადგანაც ასეთ გადასახადს იხდიან ისინი, ვინც სამზარეულოს აწარმოებენო. მაგრამ ვინ მიაქცია ხალხის ხმას ყურადღება, გაგვაწერეს „სრედნი აქციზი“!

ასეთი გადასახადი არაოდეს არ ყოფილა და არც უნდა იყვეს, პატრონი რომ გვყავდეს.

შვიდიდგან ათ-ხუთმეტი ოთახი გაუწყვია კაცს, აქირავებს და ამითი უძლვება ქალაქის სხვა და სხვა გადასახადებს და თავის ცოლ-შვილს. დღეს კი ვინც „სრედნი აქციზს“ იხდის და ას თუმანს ქირას წელიწადში, უნდა აიღოს მეორე სავაჭრო გილდი, რომელიც უდრის თითქმის სამას მანეთს. ამ გადასახადის გაძლოლა-კი თითქმის ასში ერთს არ შეუძლიან...

ამ დღეებში ერთმა ნომრების პატრონმა ბ-ნ ჯაბარს მიმართა თხოვნით, სადაც ასახელებდა ზემოხსენებულ მიზეზებს, და სხვათა შორის სთხოვდა: თუ არ შეიწყნარებთ ამ ჩემ თხოვნას, მიჩვენეთ ის მუხლი, რომლის ძალითაც მახდევინებთ ამ გადასახადსო.

ბ-ნმა ჯაბარმა თხოვნა არც-კი წაიკითხა და დააწერა: „ატკაზატ“.

ბატონო, წაიკითხეთ მაინც, შეჰკადრა მთხოვნელმა, თქვენ მე მსჯით, არ მეკუთვნის ეს გადასახადი, ამას კიდევ მეორე გილდი მოზდევს.

ბ-მნა ჯაბარმა უპასუხა: რაკი თქვენ სხვის რესტორანებიდან მოგაქვთ საჭმელი, უნდა გადაიხადოთო.

ბ-ნ ჯაბარს ავიწყდება, რომ ჩვენ მიერ გაქირავებულ ნომრებში კერძსაც სჭამენ და პაპირზსაც ეწევიან. წარმოიდგინეთ ზოგიერთი მდგმური საზღვარ-გარეთელ სიგარასაც ეწევა; ბ-ნ ჯაბარის ლოღიკით რო ვიაროთ, სიგარის აქციზიც უნდა ჩვენ გადმვიხადოთ და ბაჟიც.

აი, ამას ჰქვიან აბუჩად აგდება და უპატრონობა!

ჩვენი ქალაქის უბნის ხმოსნები სხედან პირში წყალ ჩაგუბებულნი თითქოს მარტო სათვალავისთვის ამოირჩია მცხოვრებლებმა. ესეც არ იყოს, რესტორანის პატრონი ხომ იხდის შესაფერ ხარჯს და პატენტსაც იღებს. ნომრის პატრონს რაღად უნდა დაეკისროს იმავე ხარჯის გადახდა ხელმეორედ.

შესდგა ჯგუფი, რომელიც აპირობს ბატონ თბილისის გუბერნატორისთვის თხოვნის მიცემას, იმედი გვაქვს, ბ-ნი გუბერნატორი არ დასტოვებს უყურადღებოთ.

მეტი არ იქნებოდა, ჩვენი ხმოსნებთაგანი რომელიმე შეიტანდეს საბჭოში შეკითხვას იმისთანა უსამართლო გადასახადების შესახებ.

**ნომრების პატრონთაგანი.**

# რა ღირს დღევანდელი ზარბაზნის ყუმბარა

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების არტილერიის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ცნობები, თუ რა ღირს მათი დღევანდელი საველე, ზღვისა და სანაპირო ზარბაზნების ყუმბარები. ვინაიდგან ყუმბარები სხვა და სხვა სახელმწიფოებში კეთდება დაახლოვებით, ერთი და იმავე მასალისაგან, ამისათვის ამ ციფრების შემწეობით შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ რა ღირს დღეს ევროპის სახელმწიფოებში ზარბაზნების ყუმბარები.

ამ ცნობების მიხედვით საველე მსუბუქი 3-დიუმიანი ზარბაზნების ყუმბარა ღირს . . . 21 მან.

| | |
|---|---|
| 4,7 დიუმიანი მძიმე საველე ზარბაზნისა . | 60 მან. |
| 6-დიუმიანი მძიმე საველე გაუბიცისა . . | 93 მან. |
| 6-დიუმიანი ზარბაზნისა | 130 მან. |
| 12-დიუმიანი მორტირისა | 648 მან. |
| 12-დიუმიანი ზარბაზნისა | 1080 მან. |
| 14-დიუმიანი ზარბაზნისა | 1734 მან. |
| 16-დიუმიანი ზარბაზნისა | 2600 მან. |

რაც შეეხება თვითმოძრავ საზღვაო ნაღმს—ღირს 18,500 მანეთი. მარტო ასაფეთქებელი მასალა ღირს 2,670 მ.

(რ. ინვ.)

# დაბა-სოფლები

**სოფ. ატოცი** (გორის მაზრა). ვის არ მოეხსენება როგორ გაძვირდა ცხოვრება. სოფ. ატოცის ვაჭრებმა აუწიეს ფასებსა და ერთ მანეთად ღირებულს ხუთ მანეთში ჰყიდიან. მათ თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს. აქ ინტელიგენცია თითქმის არ არის (ვინც არიან ისინიც არაფერს აკეთებენ სოფლისათვის) ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევენ ჩარჩებს და საწყალი, ისედაც დაბეჩავებული, გლეხი უფრო იჩაგრება და ღატაკდება.

გლეხი, როცა მიმართავს ჩარჩს: რა არის, ყველაფერს ესე ძვირადა ჰყიდითო, ის უპასუხებს: „ეჰ, ნეტავი გაიაფდეს, ძმაო, განა ჩვენ არ გვინდა იაფი იყვეს, მაგრამ ხომ ხედავთ ყველაფერი მამასისხლად არისო,“ ან კიდევ: „რას ამბობ კაცო, ეს საქონელი გერმანეთიდგან მოდის“ და ასე ატყუებენ საწყალ გლეხს. იმათი სიტყვით ნავთიც კი გერმანეთიდან მოდის. გლეხსაც რა მეტი ძალა აქვს.

შაქარია, და სულ გადამალეს. თუ გამოაჩენენ ისიც ისე ძვირად ჰყიდიან სათქმელადაც კი სირცხვილია. სად გაგიგიათ ათი შაური გირვანქა შაქარი. ეს ხომ ზღაპარი გეგონებათ. მაგრამ სრული სიმართლეა. დროა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეიგნონ, აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ ჩარჩებს და აგრძნობინონ, რომ უიმათოდაც შეუძლიანთ ცხოვრება.

**იქ ნამყოფი.**

# პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

ვერ იქმნა და ყასბების თავგასულობას ბოლო ვერ მოეღო, ხშირად პირადი მოსაზრებით უმატებენ ფასს.

— განზრახულია მოაწესრიგონ ფქვილის და პურის ვაჭრობა.

— ქალაქის გამგეობას განუზრახავს გახსნას საქალაქო-საზოგადო ბანკი.

— ქალაქის საბჭომ 11 იანვარს განიხილა სხვა საკითხთა შორის, წყალსადენის, ელექტრონის, განათების, ტრამვაის და კანალიზაციის გაყვანის შესახები საკითხები.

**დ. ხონი.**

6 იანვარს თოვლი მოვიდა.

**ბაქო.**

პოლიციამ აღმოაჩინა „კავ. და მერკურის“ საწყობში 3 მილიონი ფუთი შაქარი.

**გორი.**

6 იანვარს გორის ეპისკოპოსმა ანტონმა დაათვალიერა აქაური ლაზარეთი. შემოიარა ყველა განყოფილებები, და ებაასა ავადმყოფთ.

**დ. ხონი.**

სიმინდი ფუთი 1 მან. 50 კაპ. ფასობს.

**ქ. განჯა.**

აქ არსებობდა ქალთა წრე, ჰმართავდა საღამოებს და ნივთიერად ეხმარებოდა ღარიბ მოწაფეებს. ომიანობის გამო შეაჩერა მუშაობა, ეხლა როგორც გავიგეთ, წრე ისევ ახლდება.

# მაჰმადიანთა ცხოვრება

შაბათს, 9 იანვარს, ალა აუროვის თავმჯდომარეობით მოხდა კრება წ. კ. ს. „ნაშრმაურიფ“ გადასწყვიტეს მოუმატონ ჯამაგირები ყველა მასწავლებლებს, რომელნიც მაჰმადიანთა წ. კ. ს. ეკუთვნის. გადასდეს 5,000 მან. დანიშნეს აგრეთვე სტიპენდიები ღარიბ მოწაფეებისათვის. მორიგი საღამო დანიშნულია 13 თებერვალს.

— მაჰმადიანთა დამხმარე საზოგადოებას ატყობინებენ ბათომიდან, რომ უკვე მიუღიათ მათ გაგზავნილი სათბილობლები.

# მუშათა შორის

**მუშათა რწმუნებულის არჩევა.**

გელენჯიხში არსებობს ცემენტის დამტვირთველი ქართველ მუშათა არტელი. გასულ წელს ხსენებული არტელი იძულებული გახადა ქარხნის დირექციამ, აერჩიათ ახალი რწმუნებული. მუშებმაც ამ კითხვას გაუწიეს ანგარიში და აირჩიეს ამხანაგთ შორის ახალი რწმუნებული. არჩეულმა აღუთქვა ამხანაგებს დაიცვას მუშათა ინტერესები.

**უბედური შემთხვევა.**

ტყიბულის ქვა-ნახშირის სალაროში, მუშაობის დროს ჩამოვარდა ქვა და ერთი მუშა დააშავა. მისი მორჩენა საეჭვოა.

**ტყვე მუშები.**

ტყიბულის ქვა-ნახშირის დირექცია ამ დღეებში ელის 300 ტყვეს. ხსენებულ დირექციამ დაიწყო უკვე ქართველ მუშების დათხოვნა.

**რკ. გზის მუშები.**

სად. კარაკლისში მივიდა გენერალი კარპოვი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი. აქაურ დაბალ მოსამსახურეებმა მოახსენეს თავიანთი გაჭირვება. უფროსმა დახმარება აღუთქვა.

# თეატრი და ხელოვნება

„იუდას მემკვიდრე“ კლასიკურ პიესათა ციკლს უნდა მიეწეროს. რა გვაინტერესებს ამ დროს მნახველთ? რა თქმა უნდა, სტილი და რაოდენადმე დაახლოვება იმ ხანასთან, რა დროსაც გვიხატავს თვით პიესა. „იუდას მემკვიდრე“ ამ მხრივ ძვირფას მასალას იძლევა შეგვახედოს ანტიურ ქვეყნის სამეფოში, სახელდობრ იმ ფრიად მრავალ მნიშვნელოვან და საეფექტო ეპოქაში, როდესაც ორი ქვეყნის უღელი გაიყარა, ძველის და ახალის დასაწყისი ძლიერ კოცონად დაგზნებულ იქმნა.

ცხადია, ასეთი პიესებისთვის ჩვენი სცენა ფრიად ღარიბია და სრულს სტილს და კოლორიტის აღდგენას ანტიური ქვეყნისას ვერ მოვითხოვთ. არც ის შეგვიძლიან მოვთხოვოთ მსახიობთ, ზედმიწევნითი სახება გვაჩვენეთ, დაგვირგვინეთ ხელოვნება, გაგვიპიროვნეთ და აღგვიდგინეთ ანტიური ქვეყნის გმირებიო. არა, მაგრამ იმდენს უფლებას მაინც ვიტოვებთ, რომ ელემენტარი მოთხოვნილება მაინც დაკმაყოფილებული იყოს. ავიღოთ ჯერ სტილი—კოლორიტი. არ შეიძლება ასეთი აღრევა, აჭრელება, როგორც ამას ვხედავთ ჩვენს სცენაზე. ნათლად ვხედავდით სადეკორაციო მასალის სიმრავლეს, მაგრამ მათი წესიერი განაწილება კი ვერ ვნახეთ. ავიღოთ თუნდა სცენა პროკული სასახლესთან მთელი პერსპექტივას რომაულ შენობათა ხროვას წარმოადგენდა და თვით ამ მდიდრის სასახლე კი უბრალო, თანამედროვე სახლის კარებით ისაზღვრებოდა. წვრილმანთა ასეთი დიამეტრალი წინაამდეგობა პირდაპირ თვალში გეცემა ადამიანს და მით არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. არც ის იყო კარგი, რომ ამ სასახლის წინ თავმოყრილი უმწეო და გლახა-დავრდომილნი სრულიადაც არ ჰგვანდნენ დავრდომილთ. პარფიუმეერიის სიჭარბე, კუაფიურა, ქოჩორის ლამაზად აშლა, გვერძე ზეთით გადავარცხნა, გლახაკთ გლახაკობის იერს უკარგავდა და თუ არა მათი წუწუნი, უეჭველია, ყველას კეთილშობილად მონათლავდნენ. საზოგადოდ ასეთ დეფექტთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. საილუსტრაციოდ ესეცა კმარა.

თამაშის მხრითაც არა სჩანდა ზომა და სტილი. საზოგადო ნაკლულევანება: უცოდინრობა ანტიური სულისა, რომაული კაჟური სიმტკიცე, რასაც შეიძლება საკუთარი ტერმინი ვუწოდოთ **რომაული** სიმტკიცე, დაჩრდილული და გავულგარებული იქმნა ჩვენ მსახიობთაგან. ამ ნაკლს ვხედავდით არა მარტო ახალგაზდა მსახიობთა თავზე, როგორც მგალობლიშვილის კორნელი ვერში, გომელაურის ნატალში, არამედ გამოცდილ და დამსახურებულ მსახიობ გუნიას აფრში. სამწუხარო მარტო ის კი არ იყო, რომ ბ-ნმა გუნიამ როლი არ იცოდა ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით (ხშირად ქვემდებარე და შესმენილი ისე შორი-შორს იყო, შეუსაბამოდ, რომ აზრიც კი იჩრდილებოდა), არამედ ის, რომ დიდ ქურუმს მოაკლო დიდი ქურუმის ხასიათი, სიმბოლო მრისხანების და ძალოვნების შთაგონების. მსახიობთ ავიწყდებათ, რომ ანტიურ ქვეყნის ცხოვრებას ასახიერებენ, სადაც საჭიროა, როგორც არა ერთხელ გვითქვია, სკულპტურული გრაცია. ვიდრე ამას არ შეითვისებენ ჩვენი მსახიობნი, ყოველთვის მათ თამაშის ღირსებას დიდი minus-ი დაესმის.

თუ რომ ვისიმე რაიმე თამაში შეიძლება აღინიშნოს, ეს გახლდენ იზხნელის ფაონი და ქ-ნი ნ. დავითაშვილის კალვია.

კარგი დიდორი იყო ი. ჟივიძე, მან საზოგადოება ბევრი აცინა.

ალ. იმედაშვილს არ უხდებოდა თამაში, ხან ძალზე მთვრალს გვიდგენდა, ხან ფხიზელს. ალბად, ავიწყდებოდა, ვის ადგენდა.

საზოგადოდ პიესა სუსტად დაიდგა, თუმცა მისი შესრულება ამ ძალებით და სასცენო მასალით გაცილებით უმჯობესად შეიძლებოდა შესრულებულიყო.

წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. ბევრი უბილეთოდ დაბრუნდა.

**დიოგენი.**

# ნარევი

**თავის მოკვლა.**

რა არ ხდება ამ ჩვენს დროში, რა ხერხს არ მიჰმართავენ, ოღონდ კი ფული იშოვნონ. ქალაქ კასიმოვში ერთ კომისიონერს ჩანთა უპოვნია, სადაც აღმოჩენილა ბარათი: „ჩემს მკვლელობას ნურავის დააბრალებთო“! ჩანთაში ყოფილა აგრეთვე სადარბაზო ბარათი ვინმე განთქმულ ვაჭრის X-ის ცოლისა.

კომისიონერს ეს ჩანთა პოლიციაში მიუტანია. მეორე დღეს თურმე ყველანი ვაჭარ X-ის ცოლის თავის მოკვლაზე ლაპარაკობდნენ. ვაჭრის მაღაზიას აუარებელი ხალხი მიაწყდა და ძალაუნებურად ზოგი რას ყიდულობდა და ზოგიც რას.

თვით ვაჭრის მეუღლე კი დახლში მდგარა და ფულები აულია.

ამაზე უთქვამთ ქართული ანდაზა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო!“

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 „ „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 „ „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ 37 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 „ „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 „ „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 „ „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ „ |

**თელავიდან**

| | |
|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 „ „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 „ „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 „ „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 „ დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 „ „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 „ „ |
| ვაზიანიდან . . | 3 „ 40 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 „ „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 „ „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 „ „ |

**სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.**

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12.

Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

# „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაევზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

**წიგნის მაღაზია**

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვასრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.